

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

კახეთის სატყეო სამსახური

## ახმეტის სატყეო უბნის

ტყის მართვის გეგმა

ტომი – I

განმარტებითი ბარათი

ტყეთმორწეობის  
ჯგუფის უფროსი


ნოდარი გაგნიძე

თბილისი  
2023 წელი

№	სარჩევი	გვერდი
1	2	3
	შესავალი	5
<b>თავი I საკვლევი ობიექტის ბუნებრივ-ისტორიული, ეკოლოგიური და ეკონომიკური პირობები</b>		
1.1	საკვლევი ობიექტის ადგილმდებარეობა და ფართობი 1.1.1; 1.1.2.	9
1.2	საკვლევი ობიექტის ტერიტორიის ორგანიზაცია 1.2.1	12
1.3	ტყემცენარეულობის ზონა, მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყაროს სახეობების ნუსხა, ტყის ტიპები, რელიეფი, ნიადაგები, ჰიდროგრაფია და კლიმატი 1.3.1; 1.3.2; 1.3.3; 1.3.4; 1.3.5	18
1.4	ტყეთმოწყობის მიერ შესრულებული სამუშაოების მოცულობა და შინაარსი 1.4.1	41
1.5	ტყეების ეკოლოგიური მდგომარეობა 1.5.1;	45
1.6	ყოველწლიური მოთხოვნილება მერქანზე და ხე-ტყის გაცემა 1.6.1	49
1.7	სატრანსპორტო გზები 1.7.1	51
1.8	საკვლევი ობიექტის როლი და მნიშვნელობა მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში	53
1.9	კულტურულ-ისტორიული და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები	53
<b>თავი II სახელმწიფო ტყეში მომხდარი ცვლილებები და წარსულში განხორციელებული საქმიანობები</b>		
2.1	სახელმწიფო ტყეში მომხდარი ცვლილებები 2.1.1; 2.1.2; 2.1.3; 2.1.4; 2.1.5; 2.1.6; 2.1.7;	55
2.2	სახელმწიფო ტყეში მთავარი სარგებლობის ჭრების ანალიზი 2.2.1.	73
2.3	მოვლითი ჭრების ანალიზი 2.3.1	74
2.4	სპეციალური ჭრები	74
2.5	ტყის დაცვის ღონისძიებები	75
2.6	ტყის დაცვა სხვადასხვა დარღვევებისაგან 2.6.1	79
2.7	ტყის აღდგენითი ღონისძიებები 2.7.1; 2.7.2; 2.7.3	81
2.8	ტყის არამერქნული რესურსით სარგებლობა 2.8.1	82
<b>თავი III სახელმწიფო ტყის ფართობების დახასიათება</b>		
3.1	სახელმწიფო ტყის ფართობების განაწილება მიწის კატეგორიების მიხედვით 3.1.1; 3.1.2; 3.1.3; 3.1.4; 3.1.5; 3.1.6; 3.1.7; 3.1.8; 3.1.9; 3.1.10; 3.1.11; 3.1.12; 3.1.13	85
<b>თავი IV ტყის მეურნეობის ორგანიზაციის ძირითადი დებულებანი და მომავალ სარევიზიო პერიოდში განსახორციელებელი ღონისძიებები</b>		
4.1	ტყეების დაყოფა სამეურნეო მნიშვნელობის მიხედვით 4.1.1; 4.1.2	136
4.2	საექსპლუატაციო ფონდი 4.2.1	141

4.3	ჭრის სახეები	143
4.4	მთავარი სარგებლობის ოდენობა 4.4.1; 4.4.2; 4.4.3	145
4.5	მთავარი სარგებლობის ჭრების განლაგება 4.5.1	151
4.6	ტყის მოვლითი ჭრები 4.6.1; 4.6.2	152
4.7	სანიტარული ჭრები და ჩახერგილობის გაწმენდა 4.7.1;	156
4.8	კორომის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული ჭრები 4.8.1	158
4.9.	სპეციალური ჭრები	159
4.1	ყველა სახის ჭრების ყოველწლიური მოცულების განსაზღვრა	161
4.11	ტყის დაცვა 4.11.1; 4.11.2; 4.11.3; 4.11.4	164
4.12	ტყის აღდგენითი ღონისძიებები 4.12.1	171
4.13	ტყით არამერქნული სარგებლობა 4.13.1	172
<b>თავი V სატყეო ინფრასტრუქტურა</b>		
5.1	მშენებლობა და ტრანსპორტი 5.1.1; 5.1.2	173
5.2	მართველობის ორგანიზაცია და კადრები 5.2.1	175
5.3	ტყის სარგებლობისა და სხვადასხვა განსაზღვრული ღონისძიებების ეკოლოგიური დახასიათება 5.3.1	175
5.4	დასახულ ღონისძიებათა ეფექტურობა	177
<b>თავი VI ბიომრავალფეროვნების დაცვისა და გარემოსდაცვითი ღონისძიებები</b>		
6.1	ტყეების ეკოლოგიური მდგომარეობა, ბიოლოგიური მრავალფეროვნების, გარემოს უნიკალური და მოწყვლადი ეკოსისტემების, ლანდშაფტების და "წითელი ნუსხით" დაცული მცენარეების და ცხოველთა დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებები 6.1.1; 6.1.2	179
6.2	საკვლევი ტერიტორიის ტყეების პათოლოგიური კვლევის შედეგები, დასახული ღონისძიებები	182

# საქართველოს ადმინისტრაციული რუკა.



## შესავალი

ტყეს დედამიწაზე არსებულ ბუნებრივი სიმდიდრეებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მას ცოცხალი ორგანიზმებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ის გავლენას ახდენს ჟანგბადის და ნახშირბადის ბალანსზე (მსოფლიოს ტყეების დიდი რეგიონები გამოიმუშავენ ატმოსფეროში არსებული ჟანგბადის 50 %-ს). ტყე უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ეკოლოგიური წონასწორობისა ბიოსფეროში, უდიდესი დამგრძობელი მზის ენერჯისა და ბიოლოგიური მასისა. ტყე ასუფთავებს ჰაერს, არეგულირებს წყლის ნაკადებს, იცავს ნიადაგს ეროზიისაგან, დადებითად მოქმედებს ჰაერის მასების მოძრაობაზე და ტემპერატურაზე. ტყე მცენარეულობის ერთერთი ძირითადი ტიპია, რომელიც შედგება ხეების, ბუჩქების, ბალახოვანი და სხვა მცენარეების (ხავსები, მღიერები) ერთობლიობისაგან, მათთან ერთად ცხოველებისა და მიკრო ორგანიზმებისაგან, რომლებიც თავიანთი განვითარების პროცესში ბიოლოგიურად ურთიერთ-დაკავშირებულნი არიან, მოქმედებენ ურთიერთზე და გარე სამყაროზე. ტყის აუცილებელი და მთავარი შემადგენელი კომპონენტია ხეები (ხევნარი). სახელმწიფო ტყეების და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მიკუთვნებული მიწების, მისი რესურსების ერთობლიობა წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო ტყეს. ტყის და მისი რესურსების მოვლასთან, დაცვასთან, აღდგენასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული სატყეო ურთიერთობები საქართველოში რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს ტყის კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით.

ტყე საქართველოში წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბუნებრივ რესურსს, ტყეები დიდ როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკაში, ამავდროულად მათ გააჩნიათ უმნიშვნელოვანესი ფუნქცია გარემოსდაცვით, კლიმატის და წყლის რეგულირების საკითხებში. ზემოთაღნიშნულის გამო, საჭიროა ტყეების მეცნიერულად დასაბუთებული რაციონალური მართვა, რომელიც მიმართული იქნება ტყის რესურსებით მრავალმიზნობრივი მდგრადი სარგებლობის, რესურსების აღწარმოების და ტყეების დაცვითი ფუნქციების გაძლიერებისაკენ.

ქვეყანაში განვითარებული პროცესების გამო მკვეთრად გაიზარდა ტყის რესურსებზე მოთხოვნილება, როგორც საყოფაცხოვრებო და საარსებო, ასევე სამეწარმეო დანიშნულებით.

მდგრადი სატყეო მეურნეობის საინფორმაციო და დაგეგმვის საფუძველს წარმოადგენს ტყეთმომწეობა (ტყის ინვენტარიზაცია). აუცილებელია ტყეთმომწეობის (ინვენტარიზაციის) სამუშაოთა პროცესების სრულყოფა, ბუნებრივ-ისტორიული პირობების, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, საერთაშორისო გამოცდილების და ურთიერთობების გათვალისწინებით.

ეს უკანასკნელი განსაზღვრულია საქართველოს ტყის კოდექსით, რომელიც ითვალისწინებს ტყის აღრიცხვის ერთიანი სისტემის შექმნას, რომელიც მოიცავს ტყეთმომწეობას, სახელმწიფო ტყის მონიტორინგს და კადასტრს. ტყეთმომწეობის (ინვენტარიზაციის) მონაცემები წარმოადგენს მონიტორინგის განხორციელების საფუძველს. თანახმად საქართველოს ტყის კოდექსისა ტყითსარგებლობა და სატყეო სამეურნეო ღონისძიებების განხორციელება აკრძალულია ტყეთმომწეობის (ინვენტარიზაციის) ან სპეციალური გამოკვლევების გარეშე. ტყეთმომწეობის საბოლოო დოკუმენტი – ტყის მართვის გეგმაა, რომელშიც ყოველივე ზემოთ აღნიშნულის და მოქედი ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე, მოცემულია ტყითსარგებლობის, ტყის დაცვის, აღდგენის და სხვა ღონისძიებების ოდენობები, უახლოესი და ხანგრძლივი პერიოდისათვის.

თანამედროვე ურბანიზაციის, სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკის სწრაფი ზრდის, გარემოს აქტიური დაბინძურების, გლობალური დათბობის, მოსახლეობის მიერ ტყის რესურსებზე მოთხოვნილების, საკვები პროდუქტების და მტკნარი წყლის მოსალოდნელი დეფიციტის პირობებში ტყეების მოვლის, დაცვის და რაციონალური გამოყენების საკითხი მით უფრო აქტუალური და შეიძლება ითქვას, მსოფლიო საზოგადოების სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემად იქცა, სწორედ ამიტომ, მსოფლიო მასშტაბით, დადგა საკითხი ტყეების მდგრადი მართვის და მდგრადი სარგებლობის შესახებ. ეს კი ითვალისწინებს სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას ეკოლოგიური წონასწორობის აუცილებლად შენარჩუნებისა და გაძლიერების პირობებში. ამ საკითხების რეგულირებას და მოგვარებას ემსახურება მრავალი საერთაშორისო კონვენციის, ხელშეკრულებების, რეგიონალური და სახელმწიფოთა კანონმდებლობის მოთხოვნები.

ყოველივე ზემოაღნიშნული ითვალისწინებს ტყის რესურსების უწყვეტი, თანაბარი და ულავი გამოყენების პრინციპებს, ტყეების მოვლის, დაცვის, საერთო მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით ე.ი. ტყეების მრავალმიზნობრივ, რაციონალურ და კომპლექსურ გამოყენებას მოვლისა და დაცვის ღონისძიებებთან ერთად. ტყეების მდგრადი მართვა შეიძლება

მიღწეული იყოს მის რესურსებზე, მდგომარეობაზე, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ სარწმუნო ინფორმაციის, არსებობის და ტყეების ადეკვატური ფუნქციონალური დაყოფის საფუძველზე. ამასთან უნდა იქნას გათვალისწინებული ადგილობრივი ბუნებრივ-ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური პირობები, ტყეების ლოკალური, რეგიონალური და გლობალური მნიშვნელობა, საერთაშორისო კონვენციების და ხელშეკრულებების მოთხოვნები, შემუშავებულ იქნას ყოველი ფუნქციონალური ზონის შესაბამისი მართვის და სარგებლობის სპეციალური რეჟიმები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საჭიროა გვექონდეს სარწმუნო ინფორმაცია ტყის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ. ამ საკითხებს არეგულირებს საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილება და სპეციალურად ახმეტის სატყეო უბნისთვის შემუშავებული ტყის აღრიცხვის ტექნიკური დავალება, რომელიც სავალდებულოა საქართველოს ერთიანი ტყის ფონდისთვის, მიუხედავად მათი ინსტიტუციონალური დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმისა. სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების ტყეებისათვის, ან გარკვეული კონკრეტული შემთხვევებისათვის ტყეთმომწყობის თავისებურებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. კონკრეტული, განსხვავებული სამუშაოების განხორციელება, ინფორმაციულობა, სამუშაოთა ხარისხი, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და წესებს, განისაზღვრება ყველა კონკრეტული შემთხვევისათვის და აისახება სამუშაოთა ტექნიკურ დავალებაში, ასევე ხელშეკრულებაში.

წინამდებარე წესები შესაბამისობაშია ქვეყნის ეროვნულ სატყეო პოლიტიკასა და საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ტყეების ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციების ჰარმონიზაციის საკითხებში, განაპირობებს ტყეთმომწყობის პროექტების საჯაროობას, საზოგადოებრიობის სხვადასხვა ჯგუფების მონაწილეობას ტყის აღრიცხვის და მართვის გეგმების (ტყეთმომწყობის პროექტის) შემუშავებაში, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვას, მათ სრულყოფას მომავალში.

საქართველოს ტყეების სახეობრივი შემადგენლობა მრავალფეროვანია, იგი წარმოდგენილია 400-მდე სახეობის ხეებითა და ბუჩქებით. ტყის აღრიცხვის მონაცემების მიხედვით არსებული ტყის ფართობებიდან უდიდესი ნაწილი წიფლის კორომებითაა წარმოდგენილი, ასევე მნიშვნელოვანი ფართობები უკავიათ სოჭის, ნაძვის, ფიჭვის, წაბლის, რცხილის, თხმელის და სხვა მერქნიანი სახეობების კორომებს. საქართველოს ტყეები მდიდარია ტყის სხვა რესურსებითაც, კერძოდ: ტყის მერქნიანი სახეობების პროდუქტებით და არამერქნული (სამკურნალო მცენარეები, ტექნიკური ნედლეული, კენკრა, სოკო და სხვა) რესურსებით.

ბოლო წლებში, დარგის დაუფინანსებლობის გამო, შეიქმნა დიდი სიძნელეები ტყეების ფიზიკური დაცვის, მათი აღდგენისა და ტყითსარგებლობის სფეროში. ქვეყანაში განვითარებული პროცესების გამო მკვეთრად გაიზარდა ტყის რესურსებზე მოთხოვნილება, როგორც საყოფაცხოვრებო და საარსებო, ასევე სამეწარმეო დანიშნულებით.

ახმეტის სატყეო უბანზე სპეციალისტების ჯგუფის მიერ განხორციელდა საველე სამუშაოები, რომელთა შედეგად გამოვლენილი იქნა ბიომრავალფეროვნების, რეკრეაციისა და ესთეტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი უბნები, ამასთანავე განისაზღვრა სატყეო სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიები.

ახმეტის მუნიციპალიტეტში ჩატარდა ტყეთმომწყობის პირველი თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ: გერმანიის საერთაშორისო თანასაზოგადოება (GIZ-ის) წარმომადგენლები, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტების თანამშრომლები, მეტყევე - ინჟინრები (ტაქსატორები), ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, კახეთის სატყეო სამსახურის, ახმეტის სატყეო უბნის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციები;





## თავი I

### საკვლევი ობიექტის ბუნებრივ-ისტორიული, ეკოლოგიური და ეკონომიკური პირობები

#### 1.1 საკვლევი ობიექტის ადგილმდებარეობა და ფართობი

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, რომელიც თავის მხრივ, მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში და შედის კახეთის რეგიონის შემადგენლობაში. მას ჩრდილოეთით ესაზღვრება რუსეთის ფედერაცია (ჩეჩნეთის და ინგუშეთის რესპუბლიკები), აღმოსავლეთით რუსეთის ფედერაცია (დაღესტნის რესპუბლიკა) და ნაწილობრივ თელავის მუნიციპალიტეტი; სამხრეთით – საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, დასავლეთით თიანეთის და დუშეთის მუნიციპალიტეტები. მუნიციპალიტეტის ფართობია 2207,6 კმ<sup>2</sup>. აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს 80 266 ჰა უკავია, მუნიციპალიტეტის 91 200 ჰა ტყითაა დაფარული. ადმინისტრაციულ ცენტრს ქ. ახმეტა წარმოადგენს, მის შემადგენლობაში შედის 14 საკრებულო და 60 სოფელი. ახმეტის სატყეო უბანის ოფისიდან დედაქალაქ თბილისამდე მანძილი შეადგენს 150 კმ-ს.

ახმეტის სატყეო უბნის ტყის მასივები გადაჭიმულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 28 კმ-ზე, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 80 კმ-ზე.

ჰიფსომეტრიულად საკვლევი ტერიტორია ზღვის დონიდან 850-1900 მეტრის ინტერვალშია მოქცეული. სუბალპური მდელოები საკვლევ ტერიტორიას ესაზღვრება უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში 1 კმ. მანძილზე. კახეთის ქედი, რომელიც ებმის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს ჩრდილოეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით გრძელდება გომბორის ქედით, წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეკოლოგიურ დერეფანს მთელს აღმოსავლეთ საქართველოში. ის ივრის ჭალების ნახევრად უდაბნოების ზონას აკავშირებს მთავარ კავკასიონთან. საკვლევ ტერიტორიაზე დასახლებული პუნქტები, საეკლესიო ნაგებობები და ისტორიულ-კულტური ძეგლები მრავლად გვხვდება.

მუნიციპალიტეტის ტყიანობა

ცხრილი 1.1.1

ფართობი, ათასი ჰა

მუნიციპალიტეტის დასახელება	მუნიციპალიტეტის ფართობი	მრიცხველში – ტყე				ტყიანობის %
		მნიშვნელში – სახელმწიფო ტყის მიწები				
1	2	სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეები	მუნიციპალური ტყეები	სხვა ტყეები	სულ	7
ახმეტა	2207,6 კმ <sup>2</sup>	91209	-	-		41%

მუნიციპალიტეტში ტყეს მნიშვნელოვანი ფართობები უკავია, მისი ხვედრითი წილი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საკმაოდ მაღალია და საერთო ფართობის - 41 %-ს შეადგენს;

სახელმწიფო ტყის განაწილება მართვის ორგანოების მიხედვით

ცხრილი 1.1.2.

მუნიციპალიტეტის დასახელება	მუნიციპალიტეტის ფართობი ათასი კმ <sup>2</sup>	მართვის ორგანო	ტყის ფართობი ჰა					მერქნის მარაგი ათას კმ <sup>3</sup> .	
			სულ	% მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან	მ.შ ტყით დაფარული	მწიფე და მწიფეზე უხნესი		საერთო	მ.შ. მწიფე და მწიფეზე უხნესი
						სულ	მ.შ. წიწვოვანი		
1	2	1	2	3	4	5	6	7	8
ახმეტა	2207,6	01	65267	30	62954	7323,9	-	<b>10761,3</b>	2308,5
		02	23225	-	23225	-	-	-	-
		03	5029		5029				
<b>სულ</b>			<b>93521</b>	<b>42,4</b>	<b>91208</b>	<b>7323,9</b>	<b>-</b>	<b>10761,3</b>	<b>2308,5</b>

01- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო.

02 - სსიპ დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტო.

03 - ახმეტის მუნიციპალიტეტი

სახელმწიფო ტყიდან - 9342 ჰა ფართობი გადაცემულია ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიით სარგებლობაში 2028 წლამდე.

## 1.2 საკვლევი ტერიტორიის ორგანიზაცია

ახმეტის სატყეო უბნის ტყის მასივები საქართველოს გასაბჭოებამდე ძირითადად იმყოფებოდა კერძო მესაკუთრეთა მფლობელობაში, ხოლო უმნიშვნელო ტერიტორიები წარმოადგენდა სახაზინო ტყეებს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 1930 წლამდე ახმეტის ტყის მასივები საქართველოს სსრ მიწსახკომის ტყეების სამმართველოს თელავის სატყეოს შემადგენლობაში შედიოდა.

1930 წლიდან 1937 წლამდე ისინი საქართველოს სსრ მიწსახკომის საქართველოს სატყეო ტრესტის თელავის ტყემრეწვემურნეობაში იყვნენ გაერთიანებული.

1937 წლიდან 1947 წლამდე ისინი საქართველოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის თელავის სატყეო მეურნეობის გამგებლობაში არიან, ხოლო 1947 წლიდან კი საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს დაარსების მომენტიდან ისინი მის სისტემაში შევიდნენ.

სსრკ მინისტრთა საბჭოს 1951 წ. 27/XI #122677 განკარგულებისა და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს 1952წ. 18/IV N323 ბრძანების შესაბამისად, თელავის სატყეო მეურნეობას გამოეყო ახმეტის ადმინისტრაციული რაიონის ტერიტორიაზე არსებული ტყის მასივები და ამ უკანასკნელის ბაზაზე ახმეტის სატყეო მეურნეობა შეიქმნა.

2007 წლის 01 იანვრიდან თელავის და ახმეტის სატყეო მეურნეობები გაერთიანდნენ ერთ სატყეო მეურნეობად.

2007 წლის 01 მარტიდან ეს ტყეები იმყოფებიან საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო დეპარტამენტის კახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს დაქვემდებარებაში როგორც ახმეტის და თელავის სატყეო უბნები.

ამჟამად ახმეტის სატყეო უბანი შედის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს კახეთის სატყეო სამსახურის შემადგენლობაში.

ახმეტის რაიონის ტყის მასივების ნაწილი პირველად შესწავლილი იქნა 1952, 1962 წლებში.

1933 წელს გამოკვლეული იყო ნაფარეულის სატყეო, ფშაველის სატყეო, მოწყობილი იქნა რსფსრ ტყემრეწველობის კაპიტალური მშენებლობის ყოფილი სამმართველოს მიერ 1932 წელს.

შემდეგი ტყეთმოწყობა ჩატარდა 1972 წელს ტყეთმოწყობის I თანრიგით. სიძნელის IV კატეგორიით, 1964 წლის ინსტრუქციის მიხედვით.

კვარტლების საზღვრებად ისევე როგორც წინა ტყეთმოწყობისას, მიღებულ იქნა ბუნებრივი საზღვრები.

ტყეთმოწყობისას გამოყენებულ იქნა საჭაერო აგეგმვის ფოტოსურათები, სამხედრო ტოპოგრაფიული რუკები და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინა ტყეთმოწყობის და თესლბრუნვის სამმართველოს საგეგმო მასალები.

მარაგების კორექტირებისას გამოყენებულ იქნა სტანდარტული ცხრილები და ტყეთმოწყობის მერ აღებული სანიმუშო ფართობების მონაცემები. პლანშეტები შედგენილი იქნა 1:25000 მასშტაბით.

შემდეგი ტყეთმოწყობა ჩატარებული იქნა 1982 წელს, ამიერკავკასიის ტყეთმოწყობის საწარმოს მიერ სატყეო მეურნეობის მთლიან ფართობზე პირველი თანრიგით 1964 წლის ტყეთმოწყობის ინსტრუქციის შესაბამისად.

კვარტლების ნომერაცია წარმოებული იქნა ცალკეული სატყეოების მიხედვით ჩრდილო დასავლეთიდან სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ. ისევე, როგორც წინა ტყეთმოწყობის დროს კვარტლის საზღვრებად მიღებული იქნა ბუნებრივი საზღვრები.

ტყეთმოწყობის დროს გამოყენებული იქნა 1981 წელს გადაღებული აერო-ფოტოსურათები მასშტაბით 1:16000 და 1981 წლის შიდასამეურნეო მიწათმოწყობის მასალები, ტოპორუკები. სურათების ზომა 18X18 სმ, ფერი – შავ-თეთრი, ხარისხი - კარგი. (ახმეტის ტყეთმოწყობა ტომი\_I 1992 წ.)

ტყის ტაქსაცია ჩატარებული იქნა დეტალური აღრიცხვის მეთოდით(თვალზომური, აზომვითი და მონაცემთა აქტუალიზაცია). ხეების მოცულობის დადგენისას, გამოყენებული იქნა “ზაკლინის” მოცულობითი ცხრილები, ხოლო მარაგების განსაზღვრისათვის გამოყენებული იქნა პროფ. მ. ს. მარგველაშვილის აღმოსავლეთის წიფლის ზრდის მსვლელობის ცხრილები. დანარჩენი სახეობებისათვის გამოყენებული იქნა სტანდარტული ცხრილები.

წინა ტყეთმოწობა ჩატარდა 1992 წელს პირველი თანრიგით 1986 წლის ტყეთმოწობის ინსტრუქციის მოთხოვნებისა და ტყეთმოწობის პირველი თათბირის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ტყეთმოწობის მერ შეთანხმებულ იქნა სატყეო მეურნეობის საზღვრები სხვა მიწათმოსარგებლებთან.

ტყეთმოწობის პირველი თათბირის გადაწყვეტილების შესაბამისად, შენარჩუნებული იქნა ძველი კვარტლების საზღვრები და არსებული საკვარტალე ქსელი. კვარტლების ნომერაცია ჩატარდა ცალ-ცალკე სატყეოების მიხედვით.

სახელმწიფო ტყის ფართობების ინვენტარიზაცია ჩატარებული იქნა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აერო-ფოტო სურათებზე კამერალურად სტერეოსკოპის საშუალებით, ხდებოდა უზნების გამოყოფა (დემიფირირება), რომელთა კონტურები ზუსტდებოდა მოპირდაპირე ფერდობებიდან და სამარშრუტო სვლებით, თითოეულ უბანში შესვლით, სადაც სატაქსაციო ელემენტების დადგენა ხდებოდა თვალზომურად. თვალზომური ტაქსაცია ზუსტდებოდა აზომვითი ტაქსაციის, სანიმუშო ფართობებისა და ლენტისებური აღრიცხვის მონაცემებით.

ტყეთმოწობის მომქმედი ინსტრუქციის საფუძველზე, თბილისის ვ. გულისაშვილის სახ. სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის და საქართველოს ტყეთმოწობის სახ. საწარმოს მიერ შემუშავებული კორომების ხნოვანებით თაობებად დანაწილების სქემის გამოყენებით და სატყეო მეურნეობის სამინისტროს 1977 წლის 13 ივნისის ტექნიკური თათბირის მოთხოვნების გათვალისწინებით, მომწიფარ, მწიფე და მწიფეზე უხნესი კორომების ტაქსაცია ჩატარდა მათში ხნოვანებითი თაობების გამოყოფით.

ტყეთმოწობის მიერ, სატყეო მეურნეობის მთლიან ფართობზე ჩატარდა ფიტო-პათოლოგიური გამოკვლევა, შესწავლილ იქნა მავნებლების გავრცელების ხასიათი და დაისახა სპეციალური ღონისძიებები სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

საკვლევი ობიექტის დაყოფა სატყეოებად

ცხრილი 1.2.1

N	სატყეოს დასახელება	ფართობი, ჰა			კვარტლების რაოდენობა (ცალი)	სატყეოს საქმიანი ეზოს (ანგარანი) ადგილმდებარეობა	მანძილი, კმ	
		სულ	% სატყეო უბნის ფართობიდან	მ.შ. გადაცემული სარგებლობაში			მუნიციპალიტეტის ცენტრიდან სატყეო უბნის ანგარანამდე	რკინიგზის უახლოეს სადგურამდე
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ილტოს	13937	21,4	9342	90 (39ლიც.)			
2	მატანის	10450	16,1		56			
3	პანკისის	15245	23.4		85	1		
4	მალრანის	4427	6,7		23			
5	ახმეტის	9147	14.0		51	1		
6	ქისტაურის	5715	8,7		28	1		
7	ზემო ხოდაშნის	6346	9,7	264	28			
	სულ საკვლევ ობიექტზე	65267	100		361 (39 ლიც)	3	-	

264 ჰა - მიჩენილი უბნის სტატუსით საქართველოს ავტოკეფალურ-მართლმადიდებულ ეკლესიაზე გადაცემული ფართობი;

9342 ჰა - ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიით გაცემული ფართობი;

სატყეო უბნის საქმიანი ეზოები (ანგარანები) მდებარეობს ქ. ახმეტაში, პანკისში და ქისტაურში;

საკვლევი ტერიტორიის შესწავლა

ცხრილი 1.2. 2  
ფართობი ჰა

საკვლევი ტერიტორია	წელი	საერთო ფართობი	შესწავლის სახეები						
			ტყეთმომოწყობა		ინვენტარიზაცია		აეროტაქსაცია	აეროვიზუალური და აეროტაქსაციური ამოკვლევა	გამოკვლევა დისტანციური მეთოდით
			თანრიგი	ფართობი	ამორჩევითი	ფართობი			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ილტოს	1956 1977 1986 1996 2020	4595		4595					
მატანის	1956 1977 1986 1996 2020	10450		10450					
ახმეტის	1956 1977 1986 1996 2020	9147		9147					
ზედახოდაშენის	1956 1977 1986 1996 2020	6346		6346					



ქისტაურის	1956							
	1977							
	2020	5715		5715				
მაღრანის	1956							
	1977							
	1986							
	1996							
	2020	4427		4427				
პანკისი	1977	18523		18523				
	2003	18418		184182				
	2020	15245		15245				

**1.3 ტყემცენარეულობის ზონა, მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყაროს სახეობების ნუსხა, ტყის ტიპები, რელიეფი, ნიადაგები, ჰიდროგრაფია და კლიმატი**

**ტყემცენარეულობის ზონა**

აკადემიკოს ვ.ზ. გულისაშვილის მიერ ტყემცენარეულობის მიხედვით საქართველო დაყოფილია 6 ბუნებრივ ოლქად, საკვლევ ტერიტორია განლაგებულია ცენტრალური და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ოლქში.

ამ ოლქს ჩრდილოეთით ესაზღვრება კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი, დასავლეთით – ქართლის ქედი და პირობითი ხაზი, რომელიც გადის ქ. კასპის მერიდიანზე ჯავახეთის ქედამდე, სამხრეთით საზღვარი მიუყვება ამიერკავკასიის ზეგანს, აღმოსავლეთით საზღვარი გადის მდინარეების ალაზნის და ილტოს წყალგამყოფებზე, შემდგომ საზღვარი მიუყვება აღმოსავლეთით მდ. ალაზანს.

ჰავა აქ შედარებით მშრალი და კონტინენტალურია. ამ ოლქის მცენარეულობა გამოირჩევა მაღალი მრავალფეროვნებით: ნახევრადუდაბნოების სარტყელის მცენარეულობით, სადაც ტყე იზრდება მხოლოდ მდინარეთა ჭალებში (ტუგაის ტყეები), არიდული მეჩხერების სარტყლის მცენარეულობით, ნაძვის საერთოდ არ არსებობით, კარგად არის ჩამოყალიბებული მაღალმთის მუხის (*Quercus macranthera*) ტყეები სამხრეთ ექსპოზიციის ფერდობებზე მუხისა და წიფლის სარტყელში, სადაც დანარჩენ ფერდობებს იკავებს წიფელი.

ამ ოლქში გამოიყოფა ექვსი სარტყელი.

1. ნახევრადუდაბნოების სარტყელი 400 მეტრამდე ზღვის დონიდან, რის ზემოთაც განლაგებულია ტყის ფორმაციები.

2. ნათელი ტყეების ანუ არიდული ტყეების სარტყელი (400 დან 600 მეტრამდე ზღვის დონიდან) წარმოადგენს გარდამავალ სარტყელს ნახევრად უდაბნოებიდან ქართული მუხის (*Quercus iberica*) სარტყლამდე. მეჩხერები წარმოდგენილია როგორც ფოთლოვანებით (საღსაჯი – *Pistacia mutica*, ბერყენა – *Pyrus georgica* და სხვა), ასევე წიწვოვანებით (ხისებრი ღვიები – მრავალნაყოფიანი, მყრალი).

არიდული მეჩხერები ანუ ნათელი ტყეები არ არის ადამიანის მიერ გამოხშირვის შედეგი. ის არის ბუნებრივი მდგომარეობა ტენის უკმარისობის გამო. ამ სარტყელისათვის დამახასიათებელია ქსეროფიტული მცენარეულობა, მათ შორის გლერძები.

ღვის მეჩხერები მშრალ, ქვალორდიან ნიადაგებზე ზოგჯერ ადიან ზღვის დონიდან 1200 მ. სიმაღლემდე.

ამ ტყეების მუდმივი თანამგზავრია ძეძვი, რომლის არსებობა მიუთითებს, რომ ამ ადგილებში იყო არიდული მეჩხერები.

3. ქართული მუხის სარტყელი (600-დან 1200 მეტრამდე ზღვის დონიდან)

4. წიფლის ტყეების სარტყელი (1000-დან 1600 მეტრამდე ზღვის დონიდან), წიფლის ტყეები აქ გვხვდება მხოლოდ ჩრდილო ექსპოზიციის ფერდობებზე. სამხრეთ ექსპოზიციის ფერდობები უკავია მუხნარ ან შერეულ მუხნარ-რცხილნარ ტყეებს (უფრო ჩრდილიან ფერდობებზე). ამასთან 1300 მეტრამდე – ქართული მუხით. ზემოთ – მაღალმთის მუხით. აქვე დასავლეთ, სამხრეთ-დასავლეთ და იშვიათად სამხრეთ ფერდობებზე ფოთლოვანი ტყეების ფონზე ფრაგმენტებად გაფანტულია ფიჭვის პირველადი ტყეები.

5. მაღალმთის მუხის სარტყელი (1600-დან 1900 მეტრამდე ზღვის დონიდან). ზოგჯერ მუხნარებში ფრაგმენტებად გვხვდება წიფლის და შერეული ტყეები.

6. სუბალპური მეჩხერი და ტანბრეცილი ტყეები (1900-დან 2300 მეტრამდე ზღვის დონიდან). მეჩხერი ტყეები წარმოდგენილია მაღალმთის მუხით, მაღალმთის ნეკერჩხლით, მეჭეჭებიანი და ლიტვინოვის არყით, ჭნავით, იელით და სხვა. ტანბრეცილი ტყეები მეტწილად განლაგებულია ტყეების გავრცელების ზედა საზღვარზე, ჩრდილოეთ ექსპოზიციის ციცაბო ფერდობებზე და წარმოდგენილია არყის, ჭნავის და იშვიათად წიფლის ტყეებით, ხოლო დეკის სახეობა არ ფიქსირდება. მეჩხერი ტყის საბურველი წარმოდგენილია წიფლის ტყეებით, მაღალბალახეულობით. უფრო ზევით განლაგებულია სუბალპური და ალპური მდელოები.

საკვლევ ტერიტორია წარმოდგენილია ქართული მუხის, წიფლის, მაღალმთის მუხის და სუბალპური მეჩხერების სარტყლებით.

რაიონის ტერიტორიაზე არის ზომიერი ნოტიო სუბტროპიკულ ვაკეთა, ზომიერ ნოტიო ჰავიანი მთის ტყის, მთა-მდელოს და ნივალური ლანდშაფტები, რომელშიც გამოიყოფა: 1. ნივალური და სუბნივალური ზონა, 2. ალპური მდელოები, 3. სუბალპური მდელოები, 4. მთა-ტყე (ქვედა ნაწილში მუხნარ-რცხილნარებით, ზემოთ – წიფლნარებით, თუშეთში – ფიჭვნარ-არყნარით), 5. ალაზნის ვაკეზე ლეშამბოიანი ტყის ფრაგმენტები, 6. მდელო-სტეპები.

მცენარეული საფარის და ცხოველთა სამყაროს სახეობების ნუსხა  
მერქნიანი სახეობების ნუსხა

ცხრილი 1.3.1

მცენარეთა დასახელება							
ქართული		ლათინური	წითელნუსხა	რელექტი	ენდემი	წიწვოვანი	მარადმწვანე
1	2	3	4	5	6	7	8
ხეები							
1	უთხოვარი	Taxus baccata	+	+		+	+
2	ფიჭვი კავკასიური	Pinus Sosnowskyi				+	+
3	წიფელი აღმოსავლეთის	Fagus orientalis					
4	რცხილა კავკასიური	Carpinus caucasica					
5	მუხა ქართული	Quercus iberica			3		
6	კაკლის ხე	Juglans regia	+				
7	ჯაგრცხილა	Carpinus orientalis.					
8	აკაცია თეთრი	Robinia pseudoacacia					
9	ნეკერჩხალი მინდვრის	Acer campestre					

10	ლეკის ხე	Acer platanoides					
11	ქორაფი	Acer laetum					
12	თხმელა ჩვეულებრივი	Alnus barbata					
13	იფანი ჩვეულებრივი	Fraxinus excelsior					
14	თელადუმა პატარა	Ulmus minor	+				
15	თელადუმა შიშველი	Ulmus glabra	+	+			
18	მაჟალო	Malus orientalis					
19	მდგნალი	Salix caprea					
20	პანტა კავკასიური	Pyrus caucasica			3		
21	ტყემალი	Prunus divaricata					
22	ჭნავი	Sorbuscaucasigena			3		
23	თამელი	Sorbus torminalis					
24	ბერყენა	Pyrus salicifolia					

25	ცაცხვი კავკასიური	<i>Tilia caucasica</i>					
26	ბალამწარა	<i>Cerasus silvestris</i>					
27	ვერხვი მთრთოლავი	<i>Populus tremula</i>					
28	ხვალო	<i>Populus hybrida</i>					
29	ოფი	<i>Populus nigra</i>					
30	აილანთუსი (ხემყრალა)	<i>Ailantus alissima</i>					
31	თუთის ხე	<i>Morus alba</i>					
32	ლეღვი	<i>Ficus carica</i>					
33	ძელქვა	<i>Zelcova carpinifolia</i>	+				
34	ცაცხვი	<i>Tilia caucasica</i>					
35	არყი	<i>Betula litwinowii</i>					
36	წაბლი	<i>Castanea sativa</i>	+				
37	ტირიფი	<i>Salix</i>					
ბუჩქები							
1	მაყვალი	<i>Rubus caesius</i>					

2	კუნელი წითელი	<i>Crataegus kyrtostyla</i>					
3	კუნელი შავი	<i>Crataegus pentaguna</i>					
4	ქაცვი	<i>Hippophae rhamnoides</i>					
5	შინდი	<i>Cornus mas</i>					
6	შინდანწლა	<i>Cornus australis</i>					
7	ძმერხლი	<i>Ruscus colchicus</i>					+
8	დახველი	<i>Viburnum opulus</i>					
9	უზანი	<i>Viburnum lantana</i>					
10	ცხრატყავა ქართული	<i>Lonicera iberica</i>					
11	თრიმლი	<i>Cotinus coggygria</i>					
12	თუთუბო	<i>Rhus coriaria</i>					
13	ჭანჭყატი ჩვეულებრივი	<i>Evonimus europaea</i>					
14	კოწახური ჩვეულებრივი	<i>Berberis vulgaris</i>					
15	ჩიტავაშლა	<i>Piracantha coccinea.</i>					
	ზღმარტლი	<i>Mespilus germanica</i>					

16							
17	ასკილი	Rosa canina					
18	კვინჩხი	Prunus spinosa					
19	ხეშავი	Rhamnus cathartica					
20	დიდგულა	Sambucus nigra					
21	მაჯალვერი	Daphne glomerata					+
22	ხეშავი	Rhamnus cathartica					
23	თხილი ჩვეულებრივი	Corilus avellana					
24	ფშატი	Elaegnus angustifolia					
25	იელი	Rhododendron luteum					
26	მოცვი	Vaccinium uliginosum					
27	მოცვი მაღალი	Vaccinium arctostaphilos					
28	მოცხარი კლდის	Ribes biebersteinii					
29	ჟოლო	Rubus idaeus					
30	ფითრი	Viscum album					+



31	დეკა	Rhododendron caucasicum						+
32	შქერი	Rhododendron pontikum						+
33	წყავი	Laurocerasus officinalis						+
ლიანები								
1	სურო ჩვეულებრივი	Hedere helix						+
2	ღვედკეცი	Periploca graeca						

შენიშვნა: ენდემების გრაფაში "ს" ნიშნავს საქართველოს ენდემს, "კ" კავკასიის ენდემს.

**ობიექტზე ფაუნის ძირითადი წარმომადგენლების ნუსხა**

ცხრილი 1.3.2

N	სახეობების დასახელება		წითელინუსხა
	ქართული	ლათინური	
1	2	3	4
<b>ძუძუმწოვრები</b>			
1	მგელი	Canis lupus	
2	დათვი მურა	Ursus arctos	+
3	ფოცხვერი	Lynx lynx	+
4	ტურა	Canis aureus	

5	მელა	Vulpes vulpes	
6	მაჩვი	Melescaucasicus	
7	კატა ტყის	Felis silwesteis	
8	კვერნა თეთრყელა	Felissilvestriscaucasicus	
9	შველი ევროპული	Capreolus capreolus	
10	კურდღელი ევროპული	Lepus europeus caucasicus	
11	ციყვი კავკასიური	Sciurus anomalus	
12	თაგვი სახლის	Mus musculus	+
13	თაგვი ტყის	Apodemussylvaticus	
14	თაგვი ტყის პატარა	Apodemusuralensis	
15	თხუნელა კავკასიური	Talpa caucasica	
<b>ფრინველები</b>			
1	ძერა	Milivus migrans	
2	ჩხიკვი(ჯაფარა)	Carrulusglandarius	
3	ქორი	Acciitergentilis	
4	ჭოტი	Aegolius funereus linnaeus	+

5	ქათამი ტყის	Scolopaxrusticola	
6	თოლია პატარა	Larus minutes	
7	ბელურა მინდვრის	Passer montanus	
8	ბოლოცეცხლა წითელმუცელა	Phoenicurus erythrogastrus	+
9	არწივი დიდი მყივანი	aquila clanga palalas	
10	ბუ ტყის	Strixalucolinnacus	
11	ბოლოცეცხლა	Phoenicurusphoenicurus	
12	კოდალა მწვანე	Picusviridis	
13	მიმინო	Accipiter nirus	
14	ტოროლა პატარა მოკლეთითა	Calandrellarufescens	+
15	ტოროლა ველის	Melanocoryphacalandra	
16	ტოროლა ტყის	Lullulaarborea	
17	როჭო კავკასიური	Tetrao mlokosiewiczzi taczanowski	+
18	ჭივჭავი კავკასიური	Phylloscopuslorenzii	
19	მელორღია ჩვეულებრივი	Oenanthe	

20	მერცხალი სოფლის	Hirudorustica	
21	მწყერჩიტა მინდვრის	Anthuscampestris	
<b>თევზები</b>			
1	კალმახი	Saimofario	+
2	ხრამული	Varicarhinussieboldi	+
3	წვერა	Barbus	
4	ნაფოტა	Rutilus rutilus	
<b>ქვეწარმავლები და ამფიბიები</b>			
1	გველხოკერა	Ophysaurusapodus	
2	ანკარა	Natrixnatrix	

### ტყის ტიპები

საქართველოს ტყეებში ტყის ტიპოლოგიური შესწავლისას გამოიყენება ლ. მახათაძისა და ი. პოპოვის ნაშრომი – “ამიერკავკასიის ტყეების ტყის ტიპები” (1965 წ.). ამ სახელმძღვანელო ნაშრომში მოცემული ტყის ტიპების ერთ-ერთი სქემა რომელიც საფუძვლად დაედო ახმეტის მუნიციპალიტეტის ტყეების ტიპოლოგიურ გამოკვლევას.

საკვლევ ტერიტორიაზე გამოვლენილი ყველა ტყის ტიპი დახასიათებულია მათი ადგილსამყოფელს პირობების გათვალისწინებით. კერძოდ, ნიადაგის ტენით უზრუნველყოფის ხარისხისა (ძალიან მშრალი, მშრალი, გრილი, ნოტიო, ჭარბტენიანი, სველი) და ნიადაგის სიღრმის კატეგორიების მიხედვით (ღრმა, საშუალო სიღრმის, თხელი, კლდოვანი). რაც შეეხება ტყის ტიპების გარკვეული რაციონალური რაოდენობის გამოყოფას, ეს თავად საველე მუშაობის პროცესში რეგულირდება ორი ობიექტური კრიტერიუმის საფუძველზე:

1. ტყის ფიტოცენოზების (ბიოგეოცენოზების) ერთგვაროვნების გათვალისწინებით;
  2. ამ ერთგვაროვანი სტრუქტურების კანონზომიერი განმეორებადობის გათვალისწინებით;
- ტყის ფიტოცენოზების (ბიოგეოცენოზის) ერთგვაროვნების შეფასება ხორციელდება არა მხოლოდ ხეთა იარუსის მიხედვით, არამედ ამ იარუსის საბურველქვეშ ფორმირებული სხვა მცენარეულის ტრუქტურების ერთგვაროვნების გათვალისწინებითაც, იქნებოდა იგი ბუჩქოვანი “ქვეტყე”, თუ ბალახოვანი მცენარეებით შექმნილი “ცოცხალი საფარი”.
- საკვლევი ტერიტორიის ტყეების ტიპოლოგიური კვლევის საბოლოო შედეგი მოიცავს ინფორმაციას არა მხოლოდ ტყის ტიპების აგებულებისა და მათი პროდუქტიულობის (ბონიტეტი) შესახებ, არამედ ტყის მაფორმირებული ადგილსამყოფელოს პირობებისა და ამ პირობების განმსაზღვრელი ზოგიერთი სხვა დამახასიათებელი პარამეტრის შესახებაც (ფერდობის ექსპოზიცია და დაქანება). ყველაზე მეტად გავრცელებულია შემდეგი სახის ტყის ტიპები: წიფლნარი კორომები გვხვდება - იელიანი, მაყვლიანი, წივანიანი, ნაირბალახოვანი, მკვდარსაფარიანი, გვიმრიანი და სუბალპურ ნაირბალახოვანი ტყის ტიპებით. თხმელნარი კორომები ძირითადად წარმოდგენილია მაყვლიანი, გვიმრიანი და ნაირბალახოვანი ტყის ტიპებით. რცხილნარი კორომები გვხვდება - იელიანი, მკვდარსაფარიანი, ნაირბალახოვანი და მაყვლიანი ტყის ტიპებით.

## რელიეფი

ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორია გეომორფოლოგიურად კონტრასტებით ხასიათდება. უდიდესი ნაწილი გარშემორტყმულია მაღალი ქედებითა და მთებით. შედარებით დაბალი ადგილები გვხვდება მუნიციპალიტეტის სამხრეთ ნაწილში ალაზნის ვაკის სახით.

მთავარი ოროგრაფიული ერთეულებია: თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონი, კახეთის კავკასიონის საწყისი მონაკვეთი და მათთან დაკავშირებული განშტოებები: პირიქითი ქედი, აწუნთის ქედი, მაკრატელას ქედი, კახეთის ქედი, გომბორის ქედი, ტბათანის ქედი, ნაქერალის ქედი და სპეროზის ქედი. უფრო მცირე ოროგრაფიული ერთეულებია თუშეთის ქვაბული, პანკისის ხეობა და ალაზნის ვაკის მცირე მონაკვეთი.

პირიქითი ქედი – განფენილია მუნიციპალიტეტის ჩრდილოეთ ნაწილში და წარმოადგენს თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის განშტოებას. იგი მდინარე ანდის ყოისუს ზემო წელის აუზის მდინარე შაროარლუნის აუზისაგან და ჭანთირგუნის მარჯვენა სათავეებისაგან გაჰყოფს. ქაჩუს უღელტეხილის აღმოსავლეთით ქედი ერთობლივად არის მაღალი

და მცინვარებით შემოსილი. გამცინვარება უფრო ძლიერ წარმოდგენილია ჩრდილოეთ ფერდობებზე კერძოდ კი მდინარე შაროარდუნის სათავეებში. პირიქითი ქედის აღმოსავლური ნახევარი საგრძნობლად არის მაღალი დასავლურ მონაკვეთთან შედარებით (თუ არ ჩავთვლით პირამიდის ფორმიან ტებულოს მთას). ქედზე აღმართულია მწვერვალები: ტებულოს მთას, დიკლოსმთა, ქომიტო, დანოსმთა, ყვავლოსმთა, ჭეშოსმთა, კურკუმასწვერი, ქაჩუ პატარა და შავი ქვიშა.

უღელტეხილებიდან გამოსაყოფია ტებულო (მდინარე პირიქითი ალაზნის სათავეს აკავშირებს ტებულოს ხეობასთან), ქაჩუ (პირიქითის ხეობას აკავშირებს მდინარე შაროარდუნის აუზთან), ქერილო (პირიქითის ხეობას აკავშირებს ტებულოს ხეობასთან). წარმოდგენილია თანამედროვე მცინვარები: აღმოსავლეთ დიკლო და დასავლეთ დიკლო.

პირიქითი ქედი აგებულია ქვედაიურული თიხაფიქლებით, რომლებიც ადვილად იფიტება, ინგრევა და თხემურ ზონაში მძლავრ ღორღნალებს, ლოდნარებსა და მორენულ გროვებს წარმოშობს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ჩრდილო ნაწილშია ასევე აწუნთის ქედი, რომელიც თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის ჩრდილო განშტოებაა. არის მერიდიანული მიმართულების ქედი, რომელიც აერთებს ბორბალოს მთას ტებულოს მასივთან. აწუნთის ქედის ჩრდილო ნაწილში არის თანამედროვე მცინვარები (მ.შ. მცინვარი აწუნთა). აღმართულია მწვერვალი ამლა (3840 მ) და უღელტეხილი აწუნთა (3431 მ). ეს უკანასკნელი თუშეთს ხევსურეთთან აკავშირებს.

აწუნთის ქედის აღმოსავლურ გაგრძელებას წარმოადგენს მაკრატელას ქედი, რომელიც წარმოადგენს პირიქითა ალაზნისა და თუშეთის ალაზნის წყალგამყოფს. მასზე მდებარეობს მწვერვალები: ცივი (3362 მ), მაკრატელა (3106)მ და სამრულისმთა (3482მ). მაკრატელას ქედს აქვს სამხრეთ-აღმოსავლური მიმართულება და მთავრდება ომალოს პლატოთი. მაკრატელას ქედის თანამედროვე გამცინვარება უმნიშვნელო სიმძლავრით ხასიათდება და სამრულისმთის მასივის ჩრდილო კალთებთან არის დაკავშირებული.

კახეთის ქედის წარმოადგენს კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ განშტოებას. გამოეყოფა ქართლის ქედს 3279 მ სიმაღლის უსახელო მწვერვალთან და მიემართება სამხრეთ-დასავლეთისაკენ. აღმართულია მთები: დიდი ველევი, მუხათი, დამასტი, ბუშათისმაღალი, გარეჯა (ბოლო უკანასკნელი ორი მთა განლაგებულია ახმეტისა და თიანეთის მუნიციპალიტეტების საზღვარზე). ჩამოთვლილთაგან უმაღლესია გარეჯა (2496 მ), რომელიც არის მთელი კახეთის ქედის უმაღლესი პუნქტი.

მნიშვნელოვანი ოროგრაფიული ერთეულია სპეროზის ქედი, რომელიც კახეთის კავკასიონის სამხრეთ განშტოებაა. გამოყოფს მდინარეებს ალაზანსა და სამყურისწყალს. უმაღლესი წერტილია მწვერვალი ქოჩარა (3111 მ). სპეროზის ქედის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს ქვედაიურული ასპიდური თიხაფიქლები და ასევე არკოზული ლინზები. კალთები ციცაბოა, დასერილია ვიწრო ხევებით, გვხვდება მცინვარული ფორმებიც.

რელიეფის უარყოფითი ფორმებიდან გამოსაყოფია თუშეთის ქვაბული და პანკისის ხეობა. მუნიციპალიტეტის სამხრეთით ალაზნის ვაკეა გაშლილი, რომლის სიგანე აქ 5-11 კმ-ია (ალაზნის ვაკის უმცირესი სიგანე).

## ნიადაგები

საკვლევ ტერიტორია მდებარეობს ახმეტის სატყეო უბნის ტერიტორიაზე, რომელიც ზღვის დონიდან 300მ-დან 1900მ-მდე ფარგლებშია მოქცეული, სადაც გავრცელებულია შემდეგი ტიპის ნიადაგები: ყავისფერი და ყომრალი ნიადაგები. ნიადაგების დახასიათება წარმოდგენილია თ. ურუშაძის (1997), თ. ურუშაძე, ა. ბაჯელიძე, შ. ლომინაძის (2011), თ. ურუშაძე, ე. სანაძე, თ. ქვრივიშვილის (2010), თ. ურუშაძე, თ. ქვრივიშვილის (2014) სახელმძღვანელოების და მონოგრაფიების მიხედვით.

## ყომრალი ნიადაგები (Cambisols Futric and Camisols Dystric)

ყომრალი ნიადაგები გავრცელებულია როგორც დასავლეთ და აღმოსავლეთ ისე სამხრეთ საქართველოში ზღვის დონიდან 300(300)-1800(2000) მ-ის სიმაღლის ფარგლებში. ბ. პრასოლოვის მიერ 1933 წელს, საქართველოში, პირველად იქნა შესწავლილი ყომრალი ნიადაგები. შემდგომში გ. ტარასაშვილის (1939, 1956წწ), ვ. გულისაშვილის (1942წ), მ. საბაშვილის (1948წ), ლ. ნაკაშიძის (1949წ), გ. ტალახაძის (1959წ), ნ. ტარასაშვილის (1965წ) და სხვათა გამოკვლევებმა სიციხადე შეიტანეს ყომრალი ნიადაგების გენეზისის, გეოგრაფიისა და კლასიფიკაციის საკითხებში. განსაკუთრებით დაწვრილებით ეს ნიადაგები შეისწავლა თ. ურუშაძემ (1974, 1987, 1997, 2010, 2014წწ.). ყომრალი ნიადაგები უმეტესად ფერდობებზეა განვითარებული, აღმოსავლეთ საქართველოს გეოლოგიურ შენებაში წამყვანი როლი ეკუთვნის

იურულ ქვიშნარებს, თიხაფიქლებსა და კირქვა-თიხიან ფიქლებს. ყომრალი ნიადაგები ვითარდებიან წიფლნარების, მუქწიწვიანების, ფიჭვნარების, მუხნარებისა და სხვა ტყეების ქვეშ. წიფლნარები ფართობით პირველ ადგილს იკავებენ და წარმოადგენენ მცენარეულობის ძირითად ტიპს. ისინი ქმნიან ცალკე ბუნებრივ ზონას, ზღვის დონიდან 1000-1100 მ-დან 2000-2100 მ-მდე. ეს ზონა არ არის მესხეთ-ჯავახეთში. აღმოსავლეთ საქართველოში 900-1000 მ-დან 2000-2150 მ-ის ზემოთ წიფლნარებს ცვლიან მუქწიწვიანი ტყეები, რომლებიც გვხვდება მხოლოდ დასავლეთ ნაწილში. მუხნარები წარმოდგენილია მუხის რამდენიმე სახეობით, რომელთაგან ყველაზე მეტად გავრცელებულია ქართული მუხა. ის ქმნის ტყის მასივებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ზღვის დონიდან 400 (500) მ-დან 1000-1100 მ-მდე. კლიმატი თბილი და ზომიერად ტენიანია. ივლისის ტემპერატურა შეადგენს 16,8-21,8 0C, იანვრის კი - 2,1-7,6 0C. საშუალო წლიური ტემპერატურაა 3,8-10,9 0C. ნალექების წლიური რაოდენობა მერყეობს 527 მმ-დან 1737 მმ-მდე. ნალექების მინიმუმი აღინიშნება ზამთრის თვეებში, ხოლო მაქსიმუმი-მაის-ივნისში. დატენიანების კოეფიციენტი 1-ზე მეტია, რაც განაპირობებს ნიადაგების ტენის ჩამრეცხ რეჟიმს. ყომრალი ნიადაგები იყოფა რამდენიმე ქვეტიპად: სუსტად არამადლარი, მჟავე, გაეწერებული (ცრუ გაეწერებული), რენძინო-ყომრალი. სუსტად არამადლარი ყომრალი ნიადაგები ხასიათდებიან პროფილში მექანიკური ფრაქციების უმნიშვნელოდ არაერთგვაროვანი განაწილებით, სუსტად მჟავე რეაქციით, ჰუმუსის საშუალო შემცველობით, ღრმა ჰუმუსირებით, მადღრობით და სუსტი არამადღრობით. ყომრალი მჟავე ნიადაგები განსხვავდებიან ყომრალი სუსტად არამადლარი ნიადაგებიდან მთელი პროფილის მჟავე რეაქციით, არამადღრობით, შთანთქმის ნაკლები ტევადობით, სიღრმეში ჰუმუსის თანდათანობითი შემცირებით, ჰუმინების ნაკლები შემცველობით. ყომრალი გაეწერებული ნიადაგები ხასიათდებიან პროფილის მკვეთრი დიფერენციაციით მექანიკური შედგენილობის მიხედვით, სიღრმეში მჟავიანობის უმნიშვნელო მომატებით, ლექის ფრაქციაში კაჟმიწისა და ერთნახევარი ჟანგეულების თანაბარი განაწილებით. რკინის მოძრავი ფორმების გადაადგილებით და ლესივირებულ ჰორიზონტში მათი მინიმალური შემცველობით, სადაც პერიოდულად მიმდინარეობს ჟანგვა-აღდგენითი პროცესების შეცვლა, ხდება რკინის ნაწილობრივი გამოყოფა წვრილი კონკრეციების სახით, რაც აპირობებს ამ ჰორიზონტის გარკვეულ გაუფერულებას. რენძინო-ყომრალი ნიადაგები გარდამავალია კორდიან-კარბონატულსა და ყომრალს შორის. ხასიათდება დიფერენცირებული პროფილით, სუსტად მჟავე ზედა და ნეიტრალური-სუსტი ტუტე რეაქციით ქვედა ჰორიზონტებში. ჰომუსის ზომიერი შემცველობით, მაღალი გაცვლითი უნარით. საკვლევ ტერიტორიაზე გავრცელებულია ყომრალი სუსტად არამადლარი და ყომრალი მჟავე ნიადაგები.



ზოგადად ყომრალი ნიადაგების პროფილს აქვს შემდეგი შენება: Ao-A-Bm-BC-C-D Ao - 0,5-5 სმ, ფოთლების, წიწვებისა და მერქნიანი ნარჩენების ჩამონაცვნიდან შემდგარი მკვდარი საფარი.

A - 10-15(20) სმ, ყომრალი ან რუხი-ყომრალი ჰუმუსოვანი ჰორიზონტი, კომპოვანი ან კომპოვან-მარცვლოვანი, თიხნარი, ფხვიერი, ზოგჯერ გვხვდება წვრილი ხირხატი, ბევრია ფესვები, გადასვლა შემდეგ ჰორიზონტში თანდათანობით;

Bm - ყომრალი ან ყავისფერ-ყომრალი მეტამორფული (ან ილუვიურ-მეტამორფული) ჰორიზონტი, თიხნარი, ზოგჯერ გამკვრივებული, კომპოვან-კაკლოვანი ან მარცვლოვან-კაკლოვანი, საკმაოდ ხშირად შეიმჩნევა ხირხატი, რომელიც სიღრმით ელუვიონ-დელუვიონით იცვლება, გადასვლა შემდეგ ჰორიზონტში თანდათანობით;

BC - ქანისკენ გარდამავალი ჰორიზონტი; C - დედაქანი, რომელიც წარმოდგენილია თიხნარ-ქვიან-ხრემიანი ელუვიონით, მკვრივი ქანების და იშვიათად წვრილ მიწა ქანების ელუვიონ-დელუვიონით. ყომრალი ნიადაგებისთვის დამახასიათებელია პროფილის მეტ-ნაკლებად მონოტონური ყომრალი შეფერილობა და შუა ნაწილში მეტამორფული, გათიხებული ჰორიზონტის არსებობა. ყომრალი ნიადაგები, მექანიკური შედგენილობით, უმეტესად მიეკუთვნებიან საშუალო და მსუბუქ, იშვიათად მძიმე თიხნარებს. ხასიათებიან სუსტი მჟავე რეაქციით, რკინის მოძრავი ფორმების მაღალი შემცველობით. ნიადაგები ზომიერად ჰუმუსიანი და ღრმად ჰუმუსირებულია, ჰუმუსის ტიპი ფულვატურია. ნიადაგები სუსტად ან საშუალოდ არამადარია. გაცვლით კათიონებში მკვეთრად ჭარბობს კალციუმი. შთანთქმული კათიონების ჯამი საშუალოა. ყომრალი ნიადაგები მიეკუთვნებიან ნიადაგის რესურსების მსოფლიო კორელაციური ბაზის კამბისოლების ჯგუფს.

### **ყავისფერი ნიადაგები (Cambisols Chromic)**

ყავისფერი ნიადაგი ხასიათდება ნიადაგწარმოქმნის შედარებით დიდი ასაკით. ყავისფერი ნიადაგები პირველად მსოფლიოში 1904 წელს აღწერა პროფ. ს. ზახაროვმა მცხეთის მიდამოებში, მთა დიდგორის ჩრდილოეთ კალთებზე, მუხნარ-რცხილნარების ქვეშ. ყავისფერი ნიადაგების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 4,8% (311 600 ჰა-ს). ყავისფერი ნიადაგები გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ტყე-სტეპის ზონაში, ძირითადად, ზღვის დონიდან 500(700)-900(1300) მ ფარგლებში. მათი ქვედა საზღვარი ესაზღვრება მდელოს-ყავისფერ, რუხ-ყავისფერ და შავ (ბარის შავმიწები), ხოლო

ზედა - ყომრალ ნიადაგებს. ყავისფერი ნიადაგებისთვის დამახასიათებელია მკვეთრად გამოხატული პროფილის ფერადი დიფერენციაცია, არაჩამრეცი წყლის რეჟიმის პირობებში ნიადაგური სისქის ნათლად გამოხატული გათიხების პროცესი. მათი ძირითადი დიაგნოსტიკური მაჩვენებელია მეტამორფული გათიხებული ჰორიზონტის არსებობა და პროფილის გაკარბონატება. ყავისფერი ნიადაგების ძირითადი ელემენტარული ნიადაგწარმოქმნელი პროცესებია: ჰუმუსწარმოქმნა, ჰუმუსდაგროვება, გაკარბონატება, სიალიტიზაცია. ყავისფერი ნიადაგები იყოფა შემდეგ ქვეტიპად; ღია, კარბონატული, ტიპური, გამოტუტლი, რენძინო-ყავისფერი. ღია ყავისფერი ნიადაგები ფორმირდებიან ყველაზე მშრალ პირობებში და ხასიათდებიან ჰუმუსოვანი ჰორიზონტის მუქი ყომრალი შეფერილობით და წვრილკაკლოვანი სტრუქტურით, თიხნარი და თიხა მექანიკური შედგენილობით, მთელი პროფილის გათიხებით, მაღალი ჰუმუსიანობით, ჰუმუსის ჰუმატური ტიპით, ნიადაგური ჰუმინების მაღალი შემცველობით, კალციუმის კარბონატების არსებობით ზედაპირიდანვე, სუსტად ტუტე ან ტუტე რეაქციით, შთანთქმული კათიონების დიდ ფარგლებში მერყეობით, გაცვლითი ნატრიუმის უმნიშვნელო შემცველობით. კარბონატული ყავისფერი ნიადაგები ვითარდებიან ბუჩქნარების და ბუჩქიანი სტეპების ქვეშ, საკმაოდ არიდულ პირობებში. ისინი ხასიათდებიან ჰუმუსოვანი ჰორიზონტის ყავისფერი შეფერილობით და წვრილ-კომპოვანი ან მარცვლოვანი სტრუქტურით, თიხნარი მექანიკური შედგენილობით, გათიხებით პროფილის შუა ნაწილში, მთელი პროფილის კარბონატულობით, ჰუმუსის ზომიერი შემცველობით, ჰუმუსის ჰუმატური ტიპით, ნიადაგური ჰუმინების მაღალი შემცველობით, სუსტად ტუტე რეაქციით, შთანთქმის მაღალი ტევადობით, ნიადაგის და ლექის ფრაქციის სტაბილური მთლიანი ქიმიური შემადგენლობით. ტიპური ყავისფერი ნიადაგი ფორმირდებიან ძირითადად ტანდაბალი მუხნარების ქვეშ, ჯაგრცხილის, ტყემლის, კვრინჩხის, ძეძვის და სხვა ქსეროფილური ეკლიანი ბუჩქებისგან შემდგარი მდიდარი ქვეტყით. ხასიათდებიან ჰუმუსოვანი ჰორიზონტის მუქი ყავისფერი შეფერილობით და წვრილ-კაკლოვანი სტრუქტურით, თიხნარი მექანიკური შედგენილობით, გათიხებით პროფილის შუა ნაწილში, ჰუმუსის ზომიერი შემცველობით, კარბონატებისაგან ჰუმუსოვანი ჰორიზონტის გამოტუტვით, ნეიტრალური ან სუსტტუტე რეაქციით, შთანთქმის მნიშვნელოვანი ტევადობით. გამოტუტული ყავისფერი ნიადაგები ფორმირდებიან მუხნარების და მუხნარ-რცხილნარების ქვეშ. ესაა ყომრალი ნიადაგებისკენ გარდამავალი ქვეტიპი. მისი შენების მთავარი თავისებურებაა ჰუმუსოვანი და მეტამორფული ჰორიზონტების უკარბონატობა და ამ უკანასკნელის ძლიერი გათიხება. ჰუმუსოვანი ჰორიზონტი საკმაოდ მძლავრია, ჰუმუსის შემცველობა საკმაოდ მაღალი, უკარბონატო ჰორიზონტებში რეაქცია ნეიტრალურია. რენძინო-

ყავისფერი ნიადაგები გარდამავალი ნიადაგებია კორდიან-კარბონატულ და ყავისფერ ნიადაგებს შორის. ეს ნიადაგები ხასიათდება დიფერენცირებული პროფილით, ზედა ჰორიზონტების ნეიტრალური და ქვედა ჰორიზონტების სუსტი ტუტე რეაქციით, კარბონატების მომატებული. შემცველობით პროფილის ქვედა ნაწილში, ჰუმუსის ზომიერი რაოდენობით, სიღრმით მისი მკვეთრი შემცირებით, მაღალი გაცვლითი უნარიანობით. ახმეტის სატყეო უბნის ტერიტორიაზე ძირითადად გავრცელებულია ყავისფერი გამოტუტული ნიადაგი.

ნიადაგურ პროფილს ჩვეულებრივ აქვს შემდეგი აგებულება: A-Bt(Ca)-BC(BCCa)-Cca-C.

A - 20-35 სმ სიმძლავრის ჰუმუსოვანი ჰორიზონტი, მუქი მორუხო-ყავისფერი, მძიმე თიხნარი ან თიხიანი, კომპოვანი, კორდიანი, ზოგჯერ კარბონატული, გადასვლა თანდათანობით;

Bt(Ca)- 20-30 სმ სიმძლავრის მეტამორფული ჰორიზონტი, ღია ყავისფერი, თიხიანი, მკვრივი, კომპოვან-კაკლოვან-წვრილბელტოვანი, ზოგჯერ კარბონატული, გადასვლა თანდათანობით.

BC(BCCa)- 20-35 სმ საიმძლავრის მეტამორფული, ქანისკენ გარდამავალი ჰორიზონტი, არაერთგვაროვანი, უფრო მსუბუქი და ნაკლებად მკვრივი, ვიდრე ზედა ჰორიზონტი, გადასვლა თანდათანობით;

CCa - დედაქანი, უფრო ხშირად წარმოდგენილი მყარი ქანების თიხნარი ქვიან-ღორღიანი ელუვიონით, ალუვიონ-დელუვიონით და უფრო იშვიათად წვრილმიწა ქანებით.

ყავისფერი ნიადაგები ხასიათდებიან ჰუმუსოვანი ჰორიზონტის მუქი-ყომრალი ან ყავისფერი შეფერილობით, წვრილ-კომპოვანი ან მარცვლოვანი სტრუქტურით, სუსტი ტუტე ან ნეიტრალური რეაქციით, ჰუმუსის საშუალო შემცველობით, ღრმა ჰუმუსირებით, ჰუმუსის ჰუმატური ტიპით, გაკარბონატებით, თიხნარი და თიხა მექანიკური შედგენილობით, გათიხებით, ჰიგროსკოპული წყლის მაღალი შემცველობით, მოცულობითი წონით 1,10-1,38 ფარგლებში, შთანთქმის მაღალი და საშუალო ტევადობით. ნიადაგები საშუალოდ უზრუნველყოფილია (0-10) ან ღარიბია (10-20) ჰიდროლიზებადი აზოტით, ღარიბია შთანთქმული ფოსფორით და გაცვლითი კალიუმით, ნიადაგისა და ლექის ფრაქციის მთლიანი ქიმიური შემადგენლობის სტაბილურობით, სილიკატური რკონის სიჭარბით არასილიკატურ რკინაზე, თიხამინერალებში მონტმორილონიტის და ჰიდროქსარსების სიჭარბით. ყავისფერი

ნიადაგები, ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის მიხედვით, იდენტიფიცირებულია კამბისოლებთან.

### ნიადაგების განაწილება სიღრმის კატეგორიების მიხედვით

#### ნიადაგები

ცხრილი N 1.3.3.  
ფართობი ჰა.

ნიადაგის ტენიანობის ხარისხი	ნიადაგის სიღრმის კატეგორიები								
	კლდოვანი		თხელი		საშ. სიღრმის		ღრმა		სულ
	A		B		C		D		
ძალიან მშრალი			B0	2572.7					2572.7
მშრალი	A1	17.1	B1	2375.9	C1	301.2			2694.2
გრილი	A2	17.4	B2	31545.4	C2	9177.4	D2	121.4	40861.6
ნოტიო	A3	129.1	B3	1636.9	C3	6249.2	D3	104.5	8119.7
ჭარბტენიანი	A4	8.1	B4	46.4	C4	179.6	D4	13.4	247.5
სველი	A5	7.7							7.7
<b>სულ</b>		<b>179.4</b>		<b>38177.3</b>		<b>15907.4</b>		<b>239.3</b>	<b>54503.4</b>

#### ჰიდროგრაფია

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჰიდროლოგიური ქსელი ძალზე ხშირია. აქაური მიწები სავსეა მთის სწრაფი მდინარეებით და ზოგადად შიდა წყლებით. ჩრდილოეთით მთიან

მხარეში თუშეთში აღსანიშნავია ორი მდინარე: პირიქითი ალაზანი და თუშეთის ალაზანი მრავალი შენაკადებით. პირიქითი ალაზანი (სიგრძე 49 კმ) სათავეს იღებს პირიქითი ქედის სამხრეთ კალთის მყინვარებზე ზღვის დონიდან 3195 მ-ზე. იკვებება მყინვარული, თოვლის, წვიმის და მიწისქვეშა წყლებით. ნოემბრიდან მარტამდე იგი იმგიფება, ითოშება და ჩნდება ყინულნაპირი. დინება სწრაფია, წყალი კი ცივი. მისი შენაკადები ძირითადად მარცხენა მხრიდან არის განვითარებული (ფარსმისწყალი, ჭემოსწყალი, დიდხევი, ჩილოსწყალი, ხაისხევი) რომლებიც ჩამოედინებიან პირიქითი ქედიდან. მარჯვნიდან კი მას უერთდება ერთადერთი მნიშვნელოვანი მდინარე ლაროვანისწყალი.

აწუნთის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ დაბოლოებაზე ზღვის დონიდან 2840 მ-ზე იბადება მდინარე თუშეთის ალაზანი (სიგრძე 59 კმ), რომელიც საკმაო მანძილზე გომეწრის ხეობაში მიედინება. თუშეთის ალაზანი მდინარე პირიქითი ალაზნისაგან განსხვავდება იმით, რომ მისი შენაკადები მარჯვენა მხრიდან არიან განვითარებული (ხისოს ალაზანი და ორწყალი). რაც შეეხება მარცხენა შენაკადებს იგი წარმოდგენილია ერთადერთი მთავარი შენაკადით წოვათისწყალით. მდინარე თუშეთის ალაზნის საშუალო წლიური ჩამონადენია 0,7 კმ<sup>3</sup>.

მნიშვნელოვანია ასევე მდინარე ალაზანი, რომელიც სწორედ აღნიშნული რაიონის ფარგლებში, ბორბალოს მთის აღმოსავლეთ კალთაზე ზღვის დონიდან 2750 მ-ზე იწყება. ბახტრიონამდე ჩქარი დინება ახასიათებს, ალაზნის ვაკეზე გამოსვლისას (ბახტრიონის ქვემოთ) იგი ვაკის მდინარედ იქცევა და ახასიათებს შედარებით წყნარი დინება. ალაზნის სათავედ გვევლინება ორო მდინარე: წიფლოვნისწყალი და სამყურისწყალი, რომლებიც ერთიმეორეს უერთდებიან ზღვის დონიდან დაახლ. 950 მ-ზე და დასაბამს აძლევენ მდინარე ალაზანს.

ახმეტის მიწებზე ალაზანი საკმაოდ დიდ მანძილზე მიედინება (მუნიციპალიტეტის ფარგლებში მდინარის სიგრძე პირდაპირი ხაზით 50 კმ-ზე მეტია). ალაზანს მუნიციპალიტეტის ფარგლებში უერთდება ძალზე ბევრი მდინარე, განსაკუთრებით მარჯვენა მხრიდან. მარჯვენა შენაკადებია: დიდრიყე (შენაკად შავკაბახევით), ლამაზური, ქოჩადალა, ქისტაურა, ილტო, ხევისჭალა, ბაწარა (შენაკად ტოლოშისხევით), ქვაჩადალა, მატნისხევი, ღურულა, მიბაწყალი და ა.შ. მარცხენა შენაკადები უმნიშვნელოა, სიდიდით გამოირჩევა მდინარე საქორისწყალი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცალკე აღნიშვნის ღირსია მდინარე ილტო (სიგრძე 43 კმ), რომელიც სათავეს იღებს ქართლისა და კახეთის ქედების შესაყართან. აქვს ძირითადად სამხრეთ-დასავლური მიმართულება, სოფელ ნადუქნართან იგი მკვეთრად უხვევს აღმოსავლეთისაკენ და შეერთვის ალაზანს ქალაქ ახმეტის ჩრდილოეთით.

მთავარი შენაკადებია: ქვარები, ქაშანთხევი, ხევგრძელი, ხოშანხევი, ბოხევი, ფშალხევი, თლიხევი (მარჯვ); დიდი ველტეხი, პატარა ველტეხი, შუა ველტეხი, ბოდალხევი, საღორისხევი, ჭირისხევი (მარცხ).

მუნიციპალიტეტის ჩრდილოეთით გაედინება მდინარე ანდის ყოისუ, რომელიც იქმნება მდინარეების პირიქითი ალაზნისა და თუშეთის ალაზნის შეერთების შედეგად 1535 მ აბსოლუტურ სიმაღლეზე. საქართველოს ფარგლებში მდინარის სიგრძეა 14,6 კმ. ანდის ყოისუ ტიპური მთის მდინარეა კარგად გამოხატული საფეხურებისეზური დინებითა და ვიწრო და ღრმა ხეობით.

### მდინარეების და წყალსატევების დახასიათება

ცხრილი 1.3. 4

მდინარეების და წყალსატევების დახასიათება	სად ჩაედინება მდინარე	სიგრძე, კმ ან ფართობი (წყალსატევის) ჰა	მ.შ. ტყეში	დინების სიჩქარე, მ/წმ	სიგანე, მ	სიღრმე, მ	გ.ფ.დ.უ-ს მიხედვით	
							ნორმატივით	ფაქტური
1	2	3	4	5	6	7	8	9
მდ. ალაზანი		50		4-6	30-40	2	300	300
მდ. პირიქითა ალაზანი		49		3	30-35	1-2	300	300
მდ. თუშეთის ალაზანი		59		4	20-25	1-2	300	300
მდ.ილტო	მდ. ალაზანი	9		1.8	9	0.5	300	300
მდ. კაშანთ ხევი	მდ. ილტო	7		2	3-4	0.5	-	-
მდ. დამასტის ხევი	მდ. ილტო	7		3	3-4	0.5	-	-

## კლიმატი

ადმინისტრაციული მუნიციპალიტეტის დაბალ ზონაში (700 მეტრამდე) ზომიერად ნოტიო ჰავაა ცხელი ზაფხულით და ზომიერად ცივი ზამთრით, ნალექის ორმაგი მსვლელობით წლის განმავლობაში. საშუალო წლიური ტემპერატურა 11-12°C-ია, იანვრის საშუალო ტემპერატურაა 01°C, ყველაზე ცხელი თვის (ივლისი) – 23°C. აბსოლუტური მაქსიმუმი - 41°C, , აბსოლუტური მინიმუმი - -23°C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენს 720-820 მმ-ს. ზღვის დონიდან 700-დან 1200 მეტრამდე ზომიერად ნოტიო ჰავაა ხანგრძლივი თბილიზაფხულით და ზომიერად ცივი ზამთრით. იანვრის საშუალო ტემპერატურაა – -1-დან +1°C-მდე, ივლისის 21-22°C-. აბსოლუტური მინიმუმია - -26°C, აბსოლუტური მაქსიმუმი – 36°C. ნალექების საშუალო რაოდენობა შეადგენს 1000-1200 მმ-ს. 2000 მეტრზე ზემოთ მაღალი მთის ჰავაა, ნამდვილ ზაფხულს მოკლებული. ცივი, მკაცრი ზამთრით

### კლიმატის მაჩვენებლები

ცხრილი 1.3.5

მაჩვენებლის დასახელება	ერთეული	მნიშვნელობა	თარიღი
1	2	3	4
1. ჰაერის ტემპერატურა	გრადუსი		
საშუალო წლიური	გრადუსი	12.3	
აბსოლიტური მაქსიმალური	გრადუსი	40.5	
აბსოლიტური მინიმალური	გრადუსი	-23	
2. წლიური ნალექების ოდენობა	მმ	755	
3. სავეგეტაციო პერიოდი	დღე	211	
4. გვიანი ყინვები	თარიღი		აპრილი
5. ადრეული ყინვები	თარიღი		ნოემბერი

6. ნიადაგის გაყინვის საშუალო სიღრმე	სმ	20	
7. წყალდიდობის დაწყების საშუალო თარიღი	თარიღი		აპრილი, მაისი
8. თოვლის საფარი			
სიმაღლე	სმ	85	
მოსვლის დრო	თარიღი		დეკემბერი
თოვლის აღება ტყეში	თარიღი		მარტი
9. გაბატონებული ქარების მიმართულება სეზონების მიხედვით			
ზამთარი	რუმბი	დ	
გაზაფხული	რუმბი	დ	
ზაფხული	რუმბი	დ	
შემოდგომა	რუმბი	დ	
10. გაბატონებული ქარების სიჩქარე სეზონების მიხედვით	მ/წამი		
ზამთარი	მ/წამი	2.5	
გაზაფხული	მ/წამი	2.8	
ზაფხული	მ/წამი	2.7	
შემოდგომა	მ/წამი	2.5	
<b>ჯამი</b>	<b>373</b>	<b>1005,3</b>	<b>154</b>	<b>312</b>
	<b>24.8</b>	<b>352,8</b>		
<b>ნებით-ამორჩევითი ჭრები 31-35<sup>0</sup></b>				
წიფელი	28	65,8	207	369
	1,7	24.3		
<b>ჯამი</b>	28	65,8	207	369
	1,7	24.3		
<b>სულ</b>	<b>401</b>	<b>1071,1</b>	<b>181</b>	<b>340</b>
	<b>26,5</b>	<b>377,1</b>		



## 4.6. ტყის მოვლითი ჭრები

აღნიშნული სამეურნეო ღონისძიებების განსაზღვრისას პირველ რიგში მხედველობაში იქნა მიღებული ჭრის ჩატარების აუცილებლობა, მათი ადგილსამყოფელოს პირობები, წარმადობა, ბიოლოგიური აუცილებლობა.

ინვენტარიზაციის მიერ აღნიშნული ჭრების დანიშვნისას გათვალისწინებული იქნა საქართველოს მთავრობის "ტყის მოვლისა და აღდგენის წესის შესახებ" დადგენილებების მოთხოვნები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჭრების ჩატარებისათვის აუცილებელი ყველა პირობის გათვალისწინებით გამოვლენილი იქნა ყველა იმ კორომების ფართობი და მარაგი, რომლებიც მეტყვეური თვალსაზრისით მოითხოვდა მოვლითი ჭრების განხორციელებას.

კორომების ხნოვანების, სიხშირისა და ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით მოვლითი ჭრის სახეებია:

**განათებითი ჭრა** - ხორციელდება 10 წლამდე ხნოვანების 0,7 და მეტი სიხშირის კორომებში და გულისხმობს ტყის განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე არასასურველი მერქნიანი სახეობებისა და ეგზემპლარების, ასევე ბალახის საფარის მოცილებას მერქნიან მცენარეთა სახეობრივი შემადგენლობის რეგულირების და ზრდის პირობების გაუმჯობესების მიზნით;

**გაწმენდითი ჭრა** - ხორციელდება 20 წლამდე ხნოვანების 0,7 და მეტი სიხშირის შერეულ კორომებში, ამ ადგილისათვის დამახასიათებელი სახეობის ხეებისათვის ზრდის პირობების გაუმჯობესების მიზნით და გულისხმობს განსაზღვრული ადგილისათვის არასასურველი სახეობის მოჭრას. უნდა მოიჭრას 8 სმ-მდე დიამეტრის ზრდაში ჩამორჩენილი ხეები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ დიამეტრის ხეების ადგილზე დატოვება ხელს არ შეუშლის ჯანსაღი ხეების არსებობას;

**გამოხშირვითი ჭრა** - ხორციელდება 60 წლამდე (სახეობრივი შემადგენლობის მიხედვით) ხნოვანების 0,7 და მეტი სიხშირის კორომებში და გულისხმობს განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე ზრდაში ჩამორჩენილი, მრუდეღეროიანი და დაზიანებული ხეების მოჭრას. დარჩენილი ხეების ღეროებისა და ვარჯების სასურველი ფორმის მისაღებად აუცილებელი პირობების შექმნის მიზნით;

**გავლითი ჭრა** - ხორციელდება 61 წლის და მეტი ხნოვანების (გამოხშირვითი ჭრის პერიოდის დამთავრების შემდეგ) 0,7 და მეტი სიხშირის კორომებში და გულისხმობს განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე გადაბერებული, დაზიანებული, მრუდე ღეროიანი და ჭრისათვის მიზანშეწონილი ხეების მოჭრას. დარჩენილი ხეების მერქნის შემატების პირობების გაუმჯობესების მიზნით;

მოვლითი ჭრის ყველა სახე (გარდა სანიტარულისა და სარეკონსტრუქციო ჭრებისა) ტარდება 0,7 და მეტი სიხშირის კორომებში, რომელიც განლაგებულია არიან 35<sup>0</sup>-მდე დაქანების ფერდობებზე. მოვლითი ჭრის ინტენსივობა დგინდება კორომის სიხშირიდან და განისაზღვრა შემდეგნაირად:

- ა) 0,7 სიხშირის კორომებში - არა უმეტეს 10%-ისა;
- ბ) 0,8 სიხშირის კორომებში - არა უმეტეს 15%-ისა;
- გ) 0,9 და მეტი სიხშირის კორომებში - არა უმეტეს 20%-ისა.

**მოვლითი ჭრების ხნოვანებაში არსებული კორომების  
განაწილება სიხშირეების მიხედვით**

(მრიცხველი - მოვლითი ჭრების ხნოვანებაში არსებული;  
მნიშვნელი - ჭრაში დანიშნული)  
**ცხრილი 4.6.1**

სატყეო უბანი ახმეტა

ფართობი, ჰა

მოვლითი ჭრის სახეები	სიხშირე					სულ
	0,1-0,5	0,6	0,7	0,8	0,9 და მეტი	
1	2	3	4	5	6	7
განათება						
გაწმენდა						
გამოხშირვა			42.5	76.3	85.1	203,9
გავლითი			442.9	79.0	131.6	653.5
სულ სატყეო უბანში			<b>485.4</b>	<b>155.3</b>	<b>216,7</b>	<b>857,4</b>

მოვლითი ჭრების ყოველწლიური ოდენობის გაანგარიშება

ცხრილი 4.6.2.

მოვლითი ჭრის სახე	სიხშირე	გაბატონებული მერქნიანი სახეობა	მოვლით ჭრებში დანიშნული ფართობები და მარაგები				ჭრის განხორციელების პერიოდი	მოვლითი ჭრის ყოველწლიური ოდენობა				მოსაჭრელი მარაგი 1 ჰა-დან	
			ფართობი ჰა	მარაგი, კმმ		ფართობი, ჰა		მარაგი, კმმ		მარაგი კმმ	% პირველადი მარაგიდან		
				საერთო	მოსაჭრელი			საერთო	ლიკვიდური				
									სულ			მ.შ. სამასალე	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
<b>0 - 30°</b>													
	სულ სატყეო უბანში		857,4	235501	35796	10	85,7	3579,6	3221.7	1187,5	42	15	
		<b>მათ შორის სიხშირეების მიხედვით</b>											
	1-0,9		43.8	15412	2945	10	4,4	294,5	265	76	67	20	
	0,8		809.1	219018	32744	10	80,9	3274.1	2947,1	1107	40	15	
	0,7		4,5	1071	107	10	0,5	11	9,6	5	24	10	
		<b>მათ შორის გაბატონებული მერქნიანი სახეობების მიხედვით</b>											
		იფანი	8	1412	212	10	0.8	21,2	19,	9,5	27	15	
		ფიჭვი	12,3	2511	266	10	1.2	26.6	23.7	13	27	11	
		წიფელი	607,9	177202	25772	10	60,8	2577,2	2320	874	43	15	
		რცხილა	229,2	54376	9546	10	22,9	954,6	859,	291	42	18	

გამოხშირვა სულ 0 - 30°			203,9	50578	8810	10	20,4	881	792,9	254,4	43	17
<b>მათ შორის სიხშირეების მიხედვით</b>												
	1 - 0,9		43,8	15412	2945	10	4,4	294,5	265,1	76	67	19
	0,8		155,6	34095	5758	10	15,6	575,8	518,2	173,6	37	16
	0,7		4,5	1071	107	10	0,4	10,7	9,6	4,8	24	10
<b>მათ შორის გაბატონებული მერქნიანი სახეობების მიხედვით</b>												
		იფანი	5,5	798	120	10	0,6	12	10,8	5,4	22	15
		რცხილა	150,1	33297	5638	10	15	563,8	507,5	168,2	38	17
		ფიჭვი	4,5	1071	107	10	0,4	11	9,6	4,8	24	10
		წიფელი	43,8	15412	2945	10	4,4	294,2	265,	76	67	19
<b>გავლითი ჭრა სულ 0 - 30°</b>			<b>653,5</b>	<b>184923</b>	<b>26986</b>	<b>10</b>	<b>65.4</b>	<b>2699</b>	<b>2429</b>	<b>933</b>	<b>41</b>	<b>15</b>
<b>მათ შორის სიხშირეების მიხედვით</b>												
	0,7		442,9	111186	12344	10	44,3	1234	1111	372	28	11
	0,8		79	23883	4682	10	8	465	418	169	59	19
	0,9,-1,0		131,6	49854	9990	10	13,1	999	899	391	76	20
<b>მათ შორის გაბატონებული მერქნიანი სახეობების მიხედვით</b>												
		იფანი	2,5	614	92	10	0,3	9,2	8,3	4,1	37	15
		რცხილა	79,1	21079	3908	10	7,9	390,8	351,8	122,4	49	18
		ფიჭვი	7,8	1440	159	10	0,8	15,9	14,3	8,4	20	11
		წიფელი	564,1	161790	22827	10	56,4	2282,7	2054,4	798,2	40	15

4.7 სანიტარული ჭრები და ჩახერგილობის გაწმენდა

ცხრილი 4.7.1.

ფართობი - ჰა, მარაგი - კგმ

ლონისძიების დასახელება	გაბატონებული მერქნიანი სახეობა	ტყეთმოწყობის მიერ გამოვლენილი ფონდი		სარევიზიო პერიოდში განსაზღვრული გაწმენდის ოდენობა		ლონისძიების განხორციელების პერიოდი	ყოველწლიური ოდენობა				მოსაპოვებელი მარაგი 1 ჰა - ზე, კგმ
		ფართობი	მარაგი	ფართობი	მარაგი		ფართობი	მარაგი			
								სულ	ლიკვიდი		
		სულ	სულ	მ.შ. სამასალე							
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
სანიტარიული ჭრა	<b>0-30°</b>										
	წიფელი	173,2	3035	173,2	3035	5	34.6	607	486	34	17,5
	რცხილა	101,7	1635	101,7	1635	5	20.3	327	262	13	16
	<b>ჯამი</b>	<b>274,9</b>	<b>4670</b>	<b>274,9</b>	<b>4670</b>	<b>5</b>	<b>54.9</b>	<b>934</b>	<b>748</b>	<b>47</b>	<b>17</b>
სულ სანიტარიული ჭრები		274,9	4670	274,9	4670	5	54.9	934	748	47	17
<b>0-30°</b>											
ერთეული ხეების ჭრა	წიფელი	2745,1	26379	2745,1	26379	10	274,5	2638	2374	1543	10
	რცხილა	2322,4	18091	2322,4	18091	10	232,2	1809	1628	977	8
	<b>ჯამი</b>	<b>5067.5</b>	<b>44470</b>	<b>5067,5</b>	<b>44470</b>	<b>10</b>	<b>506.7</b>	<b>4447</b>	<b>4002</b>	<b>2520</b>	<b>9</b>
ჩახერგილობის გაწმენდა	წიფელი	4343,8	27479.	812,6	9169	5	162,5	1834	1137	227	11
	რცხილა	1861,7	11776	353,5	3930	5	70.7	786	393	59	11
	<b>ჯამი</b>	<b>6205,5</b>	<b>39255</b>	<b>1166,1</b>	<b>13099</b>	<b>5</b>	<b>233,2</b>	<b>2620</b>	<b>1530</b>	<b>286</b>	<b>11</b>
<b>სულ</b>		<b>11547.9</b>	<b>88395</b>	<b>6508,5</b>	<b>62239</b>		<b>794,8</b>	<b>8001</b>	<b>6280</b>	<b>2853</b>	

შენიშვნა: ფაუტი და ზეხმელი ხეების საერთო მოცულობიდან 80% შეადგენს ლიკვიდურ მარაგს.

სანიტარული ჭრები უნდა განხორციელდეს კორომების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობიდან გამომდინარე. გულისხმობს განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე ზეხმელი, ხმობადი, ფაუტი და მავნებლებით ძლიერ დაზიანებული ხეების ჭრას, კორომების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სანიტარული ჭრით გარემოდან ამოღებული, ხმელი, ხმობადი და ძირნაყარი ხეები უნდა იქნეს გამოტანილი ტყიდან. სანიტარული ჭრები მიზანშეწონილია ჩატარდეს პირველი სამი წლის განმავლობაში, რათა მერქულმა რესურსმა არ დაკარგოს სასაქონლო ღირებულება, რათა ეფექტურად მოხდეს კორომების გაჯანსაღება, ხოლო სარევიზიო პერიოდის შემდეგ წლებში სანიტარული ჭრა უნდა განხორციელდეს სპეციალური გამოკვლევისა და წინასწარი აღრიცხვის საფუძველზე. სანიტარული ჭრის ჩატარებისას ხეების შერჩევა შესაძლებელია განხორციელდეს კვარტლის ფარგლებშიც.

ტყეთმომწობის პარალელურად საკვლევ ტერიტორიაზე ჩატარებული იქნა პათოლოგიური კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა ტყეების საერთო პათოლოგიური და სანიტარული მდგომარეობის შესწავლა, ტყის შემქმნელი ძირითადი მერქნიანი სახეობების მდგომარეობა და ხმობის ინტენსივობის დადგენა, საშიში მავნებელდაავადებების გამოვლინება და კორომის გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დასახვა.

#### 4.8 კორუმის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული ჭრები

ცხრილი 4.8.1

ჭრის სახე	გაბატონებული მერქნიანი სახეობა	ტყეთმოწყობის მიერ გამოვლენილი ფონდი		სარევიზიო პერიოდში განსაზღვრული გაწმენდის ოდენობა		ლონისძიების განხორციელების პერიოდი	ყოველწლიური ოდენობა				მოსაპოვებელი მარაგი 1 ჰა - ზე, კმმ
		ფართობი	მარაგი	ფართობი	მარაგი		ფართობი	მარაგი			
								სულ	ლიკვიდი		
							სულ		მ.შ. სამასალე	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
<b>0-30°</b>											
სარეკონსტრუქციო ჭრები	ჯაგრცხილა	298,1	7292	298.1	7292	10	29,8	364,6	328,2	49,2	12
	რცხილა	54,6	3517	54,6	3517	10	5,5	175.9	158.3	27,5	32
	სულ	352,7	10809	352,7	10809	10	35,3	540,5	486,5	76,7	15

#### 4.9 სპეციალური დანიშნულების ჭრები

მიმდინარე ინვენტარიზაცია სატყეო უბნის ტერიტორიაზე აპროექტებს სპეციალურ ჭრებს, რომელიც ინიშნა გზების მოწყობის მიზნით, სულ საკვლევ ტერიტორიაზე სარევიზიო პერიოდში განსაზღვრულია 95 კილომეტრი გზის მშენებლობა. საექსპლუატაციო ფართობი შეადგენს 3,5 ჰექტარს. ადისათვის მოსაჭრელი საერთო მარაგი შეადგენს 982 კმ-ს.

მოსაჭრელი საშუალო მარაგი 1 ჰა-ზე საორიენტაციოდ შეადგენს - 280 კმ-ს.

ფართობი მარაგი კმ.მ

ცხრილი 4.9.1

ჭრის მიზანი	გაბატონებული მერქნიანი	ტყეთმოწყობის მიერ გამოვლენილი ფონდი		ჭრის განმეორებითი პერიოდი	ყოველწლიური ოდენობა				მოსაჭრელი მარაგი 1 ჰა - ზეკმ
		ფართობი	მარაგი		ფართობი	მარაგი			
						საერთო	ლიკვიდური		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
სატყეო გზების მოწყობა	წიფელი	2,4	722	10	0,2	72	58	44	300
	რახილა	1.1	260	10	0,1	26	20	15	236
სულ საკვლევ ტერიტორიაზე		3,5	982		0,3	98	78	59	280

სატყეო სამეურნეო გზების მოწყობისთვის უნდა შემუშავდეს სპეციალური პროექტი, რომელშიც დაზუსტებული იქნება საგზაო ინფრასტრუქტურის მდებარეობა, ფართობი, მანძილი მათ შორის მოსაჭრელი მერქნიანი სახეობები და მათი მოცულობები.

გზის მოწყობის დროს მოჭრილი მერქნული რესურსის მოცულობა შედის ასათვისებელი ტყეკაფის მოცულობაში.



4.10. ყველა სახის ჭრების ყოველწლიური ოდენობა

ცხრილი 4.10.1.

ფართობი ჰა, მარაგი კმმ

მრიცხველი სულ, მნიშვნელი - ლიკვიდი


გაბატონებული მერქნიანი სახეობა	მთავარი სარგებლობის ჭრები		მოვლითი ჭრები								სანიტარული ჭრა		ერთეული ხეების ჭრა		სპეციალური ჭრები		ჩახერგილობის გაწმენდა		სარეკონსტრუქციო ჭრა		სულ		
	ფართობი	მარაგი	განათობა		გაწმენდა		გამოხშირვა		გავლითი		ფართობი	მარაგი	ფართობი	მარაგი	ფართობი	მარაგი	ფართობი	მარაგი	ფართობი	მარაგი	ფართობი	მარაგი	
			ფართობი	მარაგი	ფართობი	მარაგი	ფართობი	მარაგი	ფართობი	მარაგი													
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	
							0-30°																
წიფელი	35,8	2398,6/ 2134,8					4,4	294/265	56,4	2283/2054	34,6	607/486	274,5	2638/2374	0,2	72	162,7	1834/1137					
რცხილა	1,5	78,8/70					15	563,8/507, 5	7,9	391/352	20,3	327/262	232,2	1809/1628	0,1	26	70,7	786/393	5,5	176/158			
იფანი							0,6	10,8/5,4	0,3	9,2/8,2													
ფიჭვი							0,4	12/10,8	0,8	15,8/14,5													
ჯაგრცხილა																			29,8	364/328			
<b>სულ</b>	<b>37,3</b>	<b>2477,4/ 2204,8</b>					<b>20,4</b>	<b>880,6/788, 7</b>	<b>65,4</b>	<b>2699/2428,7</b>	<b>54,9</b>	<b>934/748</b>	<b>506,7</b>	<b>4447/4002</b>			<b>233,4</b>	<b>2620/1530</b>	<b>35,3</b>	<b>540/486</b>			
							31-35°-მდე																
წიფელი	2,8	173/154																					
							0-35°-ზე მეტი																

წიფელი	38,6	2571,6/ 2288,8				4,4	294/265	56,4	2283/2054	34,6	607/486	274,5	2638/2374			162,7	1834/1137				
რცხილა	1,5	78,8/70				15	563,8/507,5	7,9	391/352	20,3	327/262	232,2	1809/1628			70,7	786/393	5,5	176/158		
იფანი						0,6	10,8/5,4	0,3	9,2/8,2												
ფიჭვი						0,4	12/10,8	0,8	15,8/14,5												
ჯაგრცხილა																		29,8	364/328		
სულ სატყეო უბანში პირველ 5 წელში	40,1	2650,4/ 2358,8				20,4	880.6/788,7	65,4	2699/2428,7	54,9	934/748	506,7	4447/4002	0,3	98	233,4	2620/1530	35,3	540/486	956,5	14771/12440,2
ბოლო 5 წელში	40,1	2650,4/ 2358,8				20,4	880.6/788,7	65,4	2699/2428,7			506,7	4447/4002	0,3	98			35,3	540/486	668,2	11217/10162,2

ახმეტის სატყეო უბანში საკვლევ ტერიტორიაზე საერთო საშუალო შემატებამ შეადგინა -117564 კბ.მ, ყოველწლიურად დაპროექტებული ღონისძიებების თანახმად ასათვისებელი მერქნული რესურსი შეადგენს - 14771 კბმ, რაც ახმეტის სატყეო უბანში, საკვლევ ტერიტორიაზე საერთო საშუალო შემატების - 12%-ია.

ახმეტის სატყეო უბნის, პანკისის სატყეოს NN10,14, 15 16 17; ქისტაურის სატყეოს NN16, 20, 21, 24, 25, 26, 27 და ზემო ხოდაშენის სატყეოს NN19, 20, 21, 25 კვარტლები მიკუთვნებულია ზურმუხტის ქსელის ტერიტორიებს, შესაბამისად საქართველო- ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების XXVI დანართის მიხედვით, ბუნების დაცვის თავის, "ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ" ( N 92/43/EEC) დირექტივის მე-6 მუხლის შესაბამისად, საქმიანობის განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია წარადგინოს სამინისტროში შესაბამისი ინფორმაცია.

მარაგების განაწილება ჭრის სახეების მიხედვით



- მთავარი სარგებლობა
- გამოხშირვა
- გავლითი
- სანიტარული
- ერთეული ხეების ჭრა
- სარეკონსტრუქციო

ჭრამი დანიშნული ფართობების განაწილება გზის მისადგომლობის მიხედვით							
სატყეო უბანი ახმეტა							
ცხრილი 4.10.2. ფართობი, ჰა							
სატყეო	გზით უზრუნველყოფილი	%	საჭიროა უმნიშვნელო კაპიტალ ანახარჯები	%	საჭიროა მნიშვნელოვანი კაპიტალ ანახარჯები	%	სულ
1	2	3	4	5	6	7	8
პანკისი	417.9	5.5%	17.9	0.2%	150.5	2.0%	586.3
ილტო	223.9	2.9%	0.0	0.0%	0.0	0.0%	223.9
მატანი	1835.8	24.0%	699.5	9.1%	760.8	9.9%	3316.6
მალრანი	302.0	3.9%	40.9	0.5%	0.0	0.0%	342.9
ახმეტა	948.4	12.4%	75.1	1.0%	0.0	0.0%	1023.5
ქისტაური	1053,7	13,8%	00	0,0%	0,0	00%	1053,7
ხოდაშენი	1101,3	14,4%	14,6	0,2%	0,0	0,0%	1115,9
<b>სულ სატყეო უბანში</b>	<b>5883</b>	<b>76,8%</b>	<b>848</b>	<b>11,1%</b>	<b>911,3</b>	<b>11,9%</b>	<b>7662,8</b>

#### 4.11 ტყის დაცვა

მიმდინარე ტყეთმომწყობის მიერ ტყის დაცვის ღონისძიებები განისაზღვრა, განხორციელებული პათოლოგიური გამოკვლევებისა და ტაქსატორების მიერ შესრულებულ სამუშაოების საფუძველზე.

ტყის მავნებლების და დაავადების კერების დროულად აღმოჩენისა და მათთან პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების მიზნით, ტყეთმომწყობის მიერ ინიშნება ტყის მავნებლებისაგან დაცვის ყოველწლიური ღონისძიებები.

**ტყის დაცვის განსაზღვრული ღონისძიებების ყოველწლიური მოცულობა**

ცხრილი 4.11.1.

N	ღონისძიების დასახელება	ზომის ერთეული	დაპროექტებულია	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	ტყის პათოლოგიური გამოკვლევა	ჰა	-	ტყეების ფაქტიური მდგომარეობიდან გამომდინარე
2	ტყის დაცვის კუთხეების მოწყობა	კუთხე	2-3	სარევიზიო პერიოდში
3	ადგილობრივის მოსახ. და ტურისტების ინფორმირება ტყის დაცვის შესახებ	ლარი	-	ყოველწლიურად

ცხრილში მოყვანილი ტყის დაცვის არსებული მოცულობები, ტყეების არსებული სანიტარული მდგომარეობიდან გამომდინარე გათვალისწინებულია სარევიზიო პერიოდის დასაწყისისათვის. მომდევნო წლებში განსაზღვრული მოცულობები მიზანშეწონილია დაკორექტირდეს, ფაქტიური მდგომარეობის გათვალისწინებით.

**ტყით დაფარული ფართობების განაწილება ხანძრის საშიშროების კლასების მიხედვით**

სატყეო უბანი ახმეტა

ცხრილი 4.11.2  
ფართობი, ჰა / %

**ხანძრის საშიშროების კლასი**

სატყეოები	I	II	III	IV	V	სულ	საშუალო კლასი
1	2	3	4	5	6	7	8
პანკისი	0	2875	10840	345	0	14060	3.8
%		20	77	3			100
ილტო	0	877	3664	0	0	4541	2.8
%		19	81				100
მატანი	0	4017	6324	0	0	10341	2,6
%		39	61	0	0		100
მალრანი	0	3450	946	0	0	4396	2,2
%		78	22	0	0		100
ახმეტა	0	862	7991	0	0	8853	2,9
%		10	90	0	0		100
ქისტაური	0	770	4571	192	0	5533	2.9
%		14	83	3	0		100
ზემო ხოდაშენი	0	473	5299	0	383	6155	3.0
%		8	86	0	6		100
<b>სულ სატყეო უბანში</b>	<b>0</b>	<b>13324</b>	<b>39635</b>	<b>537</b>	<b>383</b>	<b>53879</b>	<b>2,8</b>
<b>სულ %:</b>	<b>0</b>	<b>25</b>	<b>73</b>	<b>1</b>	<b>1</b>		<b>100</b>

ცხრილში მოყვანილი მონაცემების მიხედვით, ხანძრის საშიშროების საშუალო კლასი შეადგენს - 2,8;

## ტყით დაფარული ფართობების განაწილება ხანძრის საშიშროების კლასების მიხედვით

დაგეგმვა და ხანძარსაშიშროების კლასებად დაყოფა. ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებებია:

ა) სახანძრო დანიშნულების გზებისა და ბილიკების მოწყობა მაღალი ხანძარსაშიშროების კლასის ტყის უბნებში.

ბ) სახანძრო დანიშნულების გზებისა და ბილიკების მოვლა-შეკეთება.

გ) ხანძარსაშიშროების კორომებიდან ძირნაყარი ხე-ტყის გამოტანა და განთავსება უსაფრთხო ადგილზე.

ტყეთმოწყობის მიერ ფართობების მიკუთვნება ხანძრის გაჩენის საშიშროების კლასებზე ჩატარებულია პროფ. ნ.ს. მარგველაშვილის შკალის შესაბამისად.

სატყეო უბნის ტერიტორია ტყის ხანძრების აღმოჩენისა და მათთან ბრძოლის მეთოდების მიხედვით მიეკუთვნება ტყეების სახმელეთო დაცვის ზონას. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ტერიტორიის დაცვის ორგანიზება უნდა ხდებოდეს ტყის დაცვის მუშაკების, დროებითი მეხანძრე დარაჯებისა და ნებაყოფლობითი მოხალისეების მეშვეობით.

ხანძრის გაჩენის წყაროდ, საკვლევ ტერიტორიაზე შესაძლებელია ჩაითვალოს ადგილობრივი მოსახლეობა, რთული კლიმატური პირობები (მაღალი სიციხე ან ელჭექი) ტურისტები, მწყემსები, მონადირეები და ხე-ტყის დამამზადებლები. ხანძრის გაჩენის საშიშროება გვალვიანი პერიოდის მოახლოვებასთან არის დაკავშირებული. აღნიშნულიდან გამომდინარე “ტყეების ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკისა და ტყის ხანძრის სამსახურის სამუშაოების რეგლამენტაციის მითითებებიდან” ტყეთმოწყობამ მომავალ სარევიზიო პერიოდისთვის დააპროექტა ტყეების ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობის კომპლექსური ღონისძიებები.

ძირითადი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

ცხრილი 4.11.3

ღონისძიებების დასახელება	ზომის ერთეული	არსებული ტ/მ წელს	დაპროექტებულია ტ/მ მიერ	შესრულების ვადა
1	2	3	4	5
<b>I. გამაფრთხილებელი ღონისძიებები</b>				
1. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება		-	10	სარევ. პერ.
2. გვალივიან პერიოდში ტყის მეხანძრე დარაჯების აყვანა				სარევ. პერ.
4. დასასვენებელი და თამბაქოს მოსაწევი ადგილების მოწყობა		-		სარევ. პერ.
5. კოცონის დასანთები ადგილების მოწყობა	“___”	-	2-3	“___”
6. მუდმივი სტენდის მოწყობა	“___”		1-2	“___”
7. ანშლაგების მოწყობა	“___”		10-12	“___”
<b>III. ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკით უზრუნველყოფა</b>				
1. ავტომანქანა	ც	2	2	სარევ. პერ.
2. სახანძრო ავტომანქანა	“___”			“___”
3. კვადროციკლი	“___”			“___”



4. ელექტროძრავიანი ხერხი	“___”	1	2	“___”
5. სახანძრო მოტოპომპა	“___”		1-2	“___”
6. ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის შექმნა				
ა) მინდორში ცეცხლის საქრობი საფერთხელი მწარმოებელი ფირმა:	ცალი		8-10	სარევ. პერ.
ბ) მინდორში ცეცხლის საქრობი ფოცხი მწარმოებელი ფირმა:	“___”		8-10	სარევ. პერ.
დ) ხანძარსაწინააღმდეგო თოხი მწარმოებელი ფირმა:	“___”		8-10	სარევ. პერ.
ე) ხანძარსაწინააღმდეგო ბარი მწარმოებელი ფირმა:	“___”		10-12	სარევ. პერ.
ვ) ხანძარსაწინააღმდეგო ცული მწარმოებელი ფირმა:	“___”		6-8	სარევ. პერ.
<b>IV. სხვა ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები</b>				
1. მინერალიზებული ზოლების მოწყობა და მოვლა (ფაქტიური მდგომარეობის გათვალისწინებით)	კმ		1-2	ყოველ წლი.
2. ხანძარსაწინააღმდეგო ბილიკების მოწყობა და მოვლა (ფაქტიური მდგომარეობის გათვალისწინებით)	კმ		2-3	სარ. პერ.
3. სეზონურად მოხალისე ჯგუფების შექმნა	რა- ობა			“___”

ცხრილში ჩამოთვლილი ღონისძიებების გარდა აუცილებელია სათანადო ყურადღება მიექცეს მოსახლეობის ინფორმირებას, რომ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ცეცხლის დანთება აკრძალულია: ხეების ვარჯის ქვეშ, ძველ ნახანძრავებში, ტყის დაზიანებულ უბნებში (ტყის ქარქვეულ ან ქარტეხილ ადგილებში), დამზადების ნარჩენებიდან გაუწმენდავ ტყეკაფებში, გამოუზიდავად დატოვებული დამზადებული მერქნის ადგილებში, გამხმარბალახიან ადგილებში.

ცეცხლის დანთება დასაშვებია ცეცხლის დასანთები ადგილის (ბაქანი) წინასწარი მოწყობის შემთხვევებში, რომელიც ქვებით და სხვა საგნებით იქნება შემოფარგლული რათა არ მოხდეს მიმდებარე ტერიტორიაზე ცეცხლის გავრცელება, ხოლო კოცონის ჩაქრობა უნდა განხორციელდეს წყლის ჭავლის ან მიწის გამოყენებით.

#### 4.12 ტყის აღდგენითი ღონისძიებები

მიწის კატეგორია	ფართობი	ტყის კულტურების გაშენება (ჰა)	ბუნებრივი განახლების ხელისშეწყობა ჰა			სულ	აღდგენითი ღონისძიებები არ ინიშნება ჰა
1	2	3	4			5	6
ველობები და უტყეო სივრცეები	622,1	27,6				27,6	594,5
დაბალი(0.1-0,4) სიხშირის კორომები	2091,1			687,8		687,8	1403,3
ა)ბუნებრივი წარმოშობის	2082,7			679,4		679,4	1403,3
ბ) ხელოვნური წარმოშობის	8,4			8,4		8,4	
ბუჩქნარები						-	
სულ საკვლევ ობიექტზე	2713,2	27,6		687,8		715,4	1997,8

ტყის აღდგენა - სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა მრავალწლიანი ციკლია, რომლის მიზანია ტყის დაბალი სიხშირის კორომებში ტყის აღდგენა და სატყეო მიწებზე ტყის კულტურების გაშენება;

საკვლევ ობიექტზე გარკვეულ უბნებში ბუნებრივი განახლება მიმდინარეობს არადამაკმაყოფილებლად. ველობების და უტყეო სივრცეების 594,5 ჰა-ზე არ პროექტდება ბუნებრივი განახლების ხელისშეწყობა, რადგან 35<sup>0</sup>-ზე და მეტი დაქანების ფერდობები და 5-5<sup>ა</sup> ბონიტეტით წარმოდგენილი ფართობებია, ტყის კულტურების გაშენებას დაპროექტებულია - 27,6 ჰა-ზე,

დაბალი სიხშირის (0,1-0,4) არადაამაკმაყოფილებელი განახლების ბუნებრივი წარმოშობის კორომების ფართობი შეადგენს 2091,1 ჰა-ს, საიდანაც 1403,3 ჰა-ზე სამეურნეო ღონისძიება არ ინიშნება, რადგან აღნიშნული ფართობები განლაგებულია 35<sup>0</sup> და მეტი დაქანების მქონე ფერდობებზე, ხოლო 687,8 ჰა-ზე რეკომენდირებულია განხორციელდეს ბუნებრივი განახლების ხელშემწყობი ღონისძიებები ფაქტიური მდგომარეობის გადამოწმების შემდეგ.

**ტყით არამერქნული რესურსით სარგებლობისათვის არსებული ფართობები**

ცხრილი 2.8.1

სარგებლობის სახეები	ფართობი,ჰა	ნედლეული ზ.ერთეული	გამოვლენილი ფონდი
1	2	3	4
<b>ხილ-კენკროვანი, ნაყოფმომცემი</b>			
ასკილი, ზღმარტლი, შინდი, კაკალი, თხილი, წაბლი მოცვი, მაყვალი	3027,1	ტონა	10
<b>თაფლის მომცემი</b>			
ცაცხვი, წაბლი, ჯონჯოლი, იელი	675,4	ჰა	675,4
<b>სასოფლო-სამეურნეო</b>			
სათიბი, საძოვარი	845,2	ჰა	845,2
<b>ჯამი</b>	<b>4547,8</b>		

ტყეთმოწყობის წელს, აგრეთვე გასულ სარევიზიო პერიოდში საკვლევ ტერიტორიაზე ხილკენკროვანების და სამკურნალწამლო ნედლეულის დამზადება არ წარმოებდა, მათ ადგილობრივი მოსახლეობა მცირე რაოდენობით აგროვებდა პირადი მოხმარების მიზნით, სამრეწველო ხასიათს არ ატარებდა. ტყეთმოწყობის მიერ გამოვლენილია რომ ყოველწლიურად შესაძლებელია მსხმოიარობის პერიოდში 10 ტონა ხილ-კენკრის შეგროვება. ასევე საველე სამუშაოების პერიოდში გამოვლინდა 845,2 ჰა ფართობი სათიბი და საძოვარი, ასევე შესაძლებელია სატყეო უბნის ტერიტორიაზე განვითარდეს მეფუტკრეობა.

## თავი V

### სატყეო ინფრასტრუქტურა

გზების, ხიდების და სხვა ნაგებობების მშენებლობის და შეკეთების  
მოთხოვნილება

ცხრილი 5.1.1.

დასახელება	ზომის ერთეული	მათ შორის			
		მრიცხველი - მშენებლობა მნიშვნელი - რემონტი			
		უმნიშვნელო დანახარჯები	კაპიტალური დანახარჯები	მნიშვნელოვანი კაპიტალური დანახარჯები	აფეთქების სამუშაოები
1	2	3	4	5	6
1. გზები	კმ.		45		
2. ხიდები	ცალი		1		
3 ავტოფარეხი	ცალი		3		
5. საქმიანი ეზოების მოწყობა	ცალი			2	

დაპროექტებული სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების სრულფასოვნად განსახორციელებლად რეკომენდირებულია სარევიზიო პერიოდში, 45 კმ გზების რეაბილიტაცია, ერთი ერთეული ხიდის მშენებლობა, სატვირთო ავტომობილზე გათვლილი სამი გადახურული ავტოფარეხის მოწყობა და ორი საქმიანი ეზოს მოწყობა.

### სატყეო უბანზე საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა

ცხრილი N5.1.2.

N	მანქანები და მექანიზმები	არსებული	მ.შ თხოვლობს კაპიტალურ შეკეთებას	რეკომენდირებული
1	2	3	4	5
1	ავტომანქანა	1	-	2
2	სახანძრო ავტომანქანა	-	-	

რეკომენდირებულია ორი ავტომანქანის შეძენა.

## 5.2 მართველობის ორგანიზაცია და კადრები

### სატყეო უბნის შტატები და მისი სტრუქტურული დაკომპლექტება

ცხრილი N5.2.1.

N	თანამდებობის დასახელება	შტატით სულ	მათ შორის			რეკომენდებული
			უმადლეი განათლებით	სპეციალური საშუალო განათლებით	სტაჟორები	
1	2	3	4	5	6	7
1. საბიუჯეტო ნაწილის შტატი						
1	უბნის უფროსი	1				1
2	სპეციალისტი	14				15

### 5.3 განსაზღვრული ღონისძიებების ეკოლოგიური დახასიათება.

ტყეების ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭიროა ვიცოდეთ საკვლევი ტერიტორიის ტყეების ოპტიმალური სტრუქტურა, რომელიც დამოკიდებულია ტყის მიზნობრივ დანიშნულებაზე, სადაც მაქსიმალურად მჟღავნდება ტყის სასარგებლო თვისებები, რომლის ძირითადი კომპონენტია ოპტიმალური შემადგენლობა ან ოპტიმალური სტრუქტურა.

ოპტიმალური შემადგენლობის კორომები შეიძლება იყოს შერეული ან წმინდა და ისინი უნდა პასუხობდნენ ადგილსამყოფელს პირობებს.

ოპტიმალური სტრუქტურის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია კორომის ოპტიმალური სიხშირე. ეს სიდიდე სხვადასხვა ასაკისა და დანიშნულების ფართობებისათვის სხვადასხვაა. ახალგაზრდა კორომებში ოპტიმალური იქნება ისეთი

სიხშირე, რომელიც ხელს შეუწყობს მაქსიმალურ შემატებას, გვერდითი ტოტებისაგან გაწმენდას და სასურველი სორტიმენტის მიღებას.

თუ ტყეები რეკრეაციული მიზნით გამოიყენება, მაშინ ოპტიმალური სტრუქტურა და შემადგენლობა განისაზღვრება ისეთი ფაქტორებით, როგორცაა ტყეების ესთეტიკური და დაცვითი ფუნქციები.

საკვლევი ტერიტორია მდიდარია ისტორიული ადგილებით, რომლებიც დაცვასა და კეთილმოწყობას საჭიროებს. სატყეო უბანი მდიდარია რელიქტური, ენდემური მერქნიანი და სამკურნალო ბალახეული მცენარეულობით, რომლებიც საქართველოს “წითელ ნუსხაში” არიან შეტანილნი.

### ჭრების მაჩვენებლები ეკოლოგიური შეფასებისთვის

ცხრილი N5.3.1

მაჩვენებლები	წიწვოვანები	მაგარმერქნიანი ფოთლოვანები	რბილმერქნიანი ფოთლოვანები	სულ
1	2	3	4	5
საანგარიშო ტყეკაფი, ათასი კმმ		2,7		2,7
მოვლითი ჭრები, ათასი კმმ	0,1	3,5		3,6
სპეციალური ჭრები, ათასი კმმ		0,2		0,2
მერქნით საერთო საშუალო წლიური სარგებლობა, ათასი კმმ	0,1	6,4		6,5
სარგებლობის ინტენსივობა ტყის ფართობის 1-ჰექტრიდან, კმმ	2,1	3,3		3,4
პროცენტი 1 ჰა-ზე საშუალო შემატებიდან	1,4	5,8		5,9

ჭრების ინტენსივობა 1-ჰა-დან საშუალოდ შეადგენს - 3,4 კუბამეტრს, რაც 1-ჰა-ზე შემატების მხოლოდ - 5,9 %-ია.



#### 5.4 დასახულ ღონისძიებათა ეფექტურობა

საკვლევი ტერიტორიის სამეურნეო საქმიანობის ძირითად მიზანს ტყეების ბუნებრივი სიმდიდრის რაციონალური გამოყენება და ტყის პროდუქტიულობის ზრდა წარმოადგენს.

ყოველივე ამისათვის ტყეთმომწეობის მიერ დასახულია მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა განხორციელებამ უნდა მოგვცეს ტყეების მდგომარეობის გაუმჯობესება.

ტყის კორომების ბუნებრივი განახლების ხელისშეწყობა.

- სამეურნეო ჭრების ჩატარება;
- მოვლითი ჭრების ჩატარება;
- სანიტარული ჭრების ჩატარება;
- ტყის დაცვის გაუმჯობესება;
- სარეკონსტრუქციო ჭრების ჩატარება.

მიმდინარე სარევიზო პერიოდში კორომების საშუალო მარაგის მატება 1 ჰა-ზე მოსალოდნელია 10 კბმ-ით, ხოლო კორომების საერთო საშუალო შემატების მომატება მოსალოდნელია 0,8 კბმ-ით, რაც არსებული შემატების 1%-ია. სატყეო უბნის მიწის კატეგორიებში მნიშვნელოვანი ცვლილებები, სარევიზო პერიოდის ბოლოსათვის მოსალოდნელი არ არის.

მომავალი სარევიზო პერიოდის დასაწყისისათვის უცვლელი დარჩება გამოუყენებელი მიწები, რაც სატყეო უბნის შესაძლებლობებიდან გამომდინარე მათი ათვისება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.

გაბატონებული მერქნიანი სახეობების ფართობებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

ტყის აღდგენითი ღონისძიებების შედეგად მოსალოდნელია ტყით დაფარული ფართობის მომატება, მოიმატებს ტყიანობის %-იც, ხოლო ჩატარებული მთავარი, მოვლითი, სანიტარული და სარეკონსტრუქციო ჭრების შედეგად გაუმჯობესდება კორომების სტრუქტურული შემადგენლობა.

სახელმწიფო ტყის ძირითად მაჩვენებლებშიც არ არის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ცვლილებები, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ტყეთმომწეობის მიერ დაპროექტებული ღონისძიებები გააუმჯობესებს ტყეების პროდუქტიულობას და მათ სანიტარულ-ესთეტიურ მდგომარეობას, აამაღლებს ნიადაგდაცვით-წყალმარეგულირებელ და რეკრეაციული ფუნქციებს.

## თავი VI

### ბიომრავალფეროვნების დაცვისა და გარემოსდაცვითი ღონისძიებები

#### 6.1 ტყეების ეკოლოგიური მდგომარეობა, ბიოლოგიური მრავალფეროვნების, გარემოს უნიკალური და მოწყვლადი ეკოსისტემების, ლანდშაფტების და "წითელი ნუსხით" დაცული მცენარეების და ცხოველთა დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებები

საკვლევ ობიექტზე სანიმუშო ფართობების მონაცემების და თვალზომური ტაქსაციის შედეგად მიღებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების, სატყეო უბნის სტატისტიკური მონაცემების, მოსახლეობის, მწყემსების, მონადირეების, სპეციალისტებისა და სხვა დაინტერესებული პირების გამოკითხვის შედეგების ანალიზის თანახმად, ეკოლოგიური და ბიომრავალფეროვნების მდგომარეობა სატყეო უბნის მაშტაბით არაერთგვაროვანია, რაც დამოკიდებულია ანთროპოგენული დატვირთვის ხარისხზე და სხვადასხვა ბუნებრივ პროცესებზე.

ნეგატიური მოვლენებიდან აღსანიშნავია საქონლის არარეგულირებული ძოვება. საქონლის ძოვება ტყეში მიმდინარეობს დასახლებული პუნქტების მიმდებარედ, საზაფხულო სამოვრებზე გადასარეკი ტრასების და ტყეში არსებული სამოვრების მიმდებარე ტყის უბნებში, აგრეთვე საზაფხულო სამოვრების მიმდებარე ტყის უბნებში. საქონლის ძოვება ამ ადგილებში უარყოფითად მოქმედებს ფოთლოვანი მერქნიანი სახეობების ბუნებრივი განახლების მდგომარეობაზე. ახმეტის სატყეო უბანზე კორომები მთლიანად ფოთლოვანი სახეობებით არის წარმოდგენილი.

წარსულში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, ყველა სახის ჭრების დროს პირველ რიგში ხდებოდა ან იგეგმებოდა მერქნიანი სახეობების ასაკოვანი, ფაუტი, ხმობადი და ხმელი ხეების ეგზემპლარების გამოღება და ჩახერგილობისაგან გაწმენდა, რაც უარყოფითად მოქმედებს ბიომრავალფეროვნებზე.

უარყოფითი შედეგები გამოიწვია ჭრების შედეგად კორომების სიხშირის ნორმაზე დაბლა დაწევამ, მაყვლიან და გვიმრიან ტყის ტიპებში, ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების მეშვეობით განვითარდა გვიმრის და მაყვლის ხშირი საფარი. ამ ადგილებში ბუნებრივი განახლების ხელისშეწყობის (საფარის მოცილება) გარეშე აღმონაცენ-მოზარდის განვითარება და კორომის ჩამოყალიბება რთულადაა შესაძლებელი, შესაბამისად, რიგ უბნებში დაპროექტებულია ტყის აღდგენის ღონისძიებები.

არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, ეკოლოგიური მდგომარეობის და ბიომრავალფეროვნების დაცვის და გაუმჯობესების არსებულ ნორმატივებთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ტყეთმორწყობა გეგმავს შემდეგ ღონისძიებებს:

- ჭრების დაპროექტებული სახეები უზრუნველყოფენ ნაირხნოვანი და რთული შემადგენლობის კორომების შენარჩუნებას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს გარემოსდაცვითი და ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით;

- დაპროექტებული ჭრის მოცულობები არ აღემატება კორომების საშუალო ნამატს, რაც უზრუნველყოფს ფიტომასის რაოდენობის შენარჩუნებას და ზრდას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ნახშირორჟანგის შთანთქმაში და აქვს გლობალური მნიშვნელობა.

- ტყის აღდგენის დაპროექტებული ღონისძიებები ისახავს მიზნად ბუნებრივი განახლების ხელშეწყობას მხოლოდ ადგილობრივი მერქნიანი სახეობებით;

ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორია გეომორფოლოგიურად კონტრასტებით ხასიათდება. უდიდესი ნაწილი გარშემორტყმულია მაღალი ქედებით, მთებით და კლდეებით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჰიდროლოგიური ქსელი ხშირია, წარმოდგენილია მთის სწრაფი მდინარეებით და შიდა წყლებით. საკვლევ ტერიტორიაზე გვხვდება მაღალი დაქანების ფერდობები, ასევე ესაზღვრება ალპური საძოვრები და არის საშიშროება, რიგ უბნებზე მეწყერული პროცესების განვითარების. საკვლევ ტერიტორიაზე გამავალი დიდი მდინარეებია: ალაზანი, ილტო და ორვილი, რომლებიც სწრაფი დინებით ხასიათდებიან. არასწორად ტყეების ჭრის დაგეგმარებამ, მაღალი ინტესივობით ჭრამ შესაძლებელია სავალალო შედეგები გამოიწვიოს, მიუხედავად იმისა რომ საკვლევ ტერიტორიაზე გამოვლინდა სულ - 9006441 კვ.მ-ი მერქნული რესურსი, ხოლო მწიფე და მწიფეზე უხნესი კორომების მარაგი 1909610 კვ.მ-ია, მიზანშეწონილია მიმდინარე სარევიზიო პერიოდში ჭრები განხორციელდეს თანახმად საანგარიშო ტყეკავის გამოთვლებით მიღებული რესურსის შესაბამისად, კანონმდებლობის სრული დაცვით, რათა არ მოხდეს ტყის შემატებაზე მეტი რესურსის მოპოვება და მომავალში მიღებულ იქნას მაღალი წარმადობის კორომები, გაუმჯობესებულ იქნას ტყეების ხარისხობრივი, რაოდენობრივი და სტრუქტურული მაჩვენებლები. ყოველივე აღნიშნული უზრუნველყოფს ტყეების მდგრადი მართვის პრინციპების დაცვას.

- დაპროექტებული ღონისძიებები არ გამოიწვევს ტყით დაფარული ფართობების შემცირებას და მერქნიანი სახეობების არასასურველ ცვლას;

- ჭრების განხორციელებისას დატოვებულ იქნას ასაკოვანი, ფაუტი, ხმოზადი და ზეხმელი ხეები, თანახმად კანონმდებლობისა, სატყეო უბანზე არსებული ბიომრავალფეროვნების წარმომადგენლების არსებობის უზრუნველსაყოფად;

- გამოყოფილ იქნა განსაკუთრებული ფუნქციონალური დანიშნულების უბნები, რომელთაც აქვთ გარემოსდაცვითი, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების დანიშნულება. მათი საერთო ფართობი საკვლევ ობიექტზე შეადგენს - 19362 ჰექტარს, რაც მთელი ტყეების 36 %-ს შეადგენს.

- მიზანშეწონილია მონიტორინგი განხორციელებულ ღონისძიებათა შესაბამისობის დადგენის მიზნით და შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლი, მავნებელ დაავადებათა

გავრცელებაზე, ბუნების სტიქიური მოვლენების შედეგებზე მოქმედი ნორმატივების და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, შემუშავდეს და განხორციელდეს შესაბამისი ღონისძიებები.

- ტყეთმონწილობის მიერ დაპროექტებული ღონისძიებების განხორციელების შედეგად სარევიზიო პერიოდის ბოლოსათვის მოსალოდნელია ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდა, კერძოდ:

- დაბალი სიხშირის კორომების დაახლოებით 2500 ჰა გადავა საშუალო სიხშირის კორომებში;
- კორომების საშუალო მარაგი 1 ჰა-ზე გაიზრდება დაახლოებით 10 კბმ-ით.
- საკვლევი ობიექტის კორომების საერთო მარაგი გაიზრდება დაახლოებით 22000 კბმ-ით.

მართვის გეგმით გათვალისწინებული ტყით სარგებლობის, ტყის დაცვის და ტყის აღდგენის ღონისძიებები ბიოლოგიური მრავალფეროვნების მდგომარეობის გაუარესებას არ გამოიწვევს, რიგ შემთხვევაში დაპროექტებული ღონისძიებები (განსაკუთრებული ფუნქციონალური უბნებში) უზრუნველყოფს დადებითი შედეგების მიღებას. ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების, მისი მდგომარეობის გაუმჯობესების და კონსერვაციისათვის სარეზერვო ფონდის შექმნის კუთხით.

საქმიანობისას დაცული უნდა იქნას ცხოველთა საბინადრო ადგილები, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზები, ბუდეები/ ბუნაგები (ასეთების გამოვლენის შემთხვევაში). განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს საქართველოს "წითელ ნუსხაში" შეტანილ სახეობებზე. ტერიტორიაზე ღონისძიებების წარმოებისას ასეთი სახეობების გამოვლენის შემთხვევაში, გატარდეს სათანადო და ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები.

ტყის საზიდი გზების გაყვანის მიზნობრივი პროექტის შედგენისას მაქსიმალურად უნდა შემცირდეს საქართველოს "წითელ ნუსხაში" შეტანილი სახეობების ჭრა/დაზიანება.

## 6.2 საკვლევი ტერიტორიის ტყეების პათოლოგიური კვლევის შედეგები, დასახული ღონისძიებები

ტყეთმოწყობის საველე პერიოდში ტყის ინვენტარიზაციის პარალელურად განხორციელდა ტყეების პათოლოგიური გამოკვლევა მოქმედი ტყის აღრიცხვის წესის და სამუშაოთა ტექნიკური დავალების მოთხოვნათა შესაბამისად. ტყის ვიზუალური და რეკონოსცირებული გამოკვლევების შემდეგ, შერჩეულ მარშუტებზე ტარდებოდა ხეების დეტალური აღრიცხვა შემდეგი პათოლოგიური კატეგორიების მიხედვით: სალი, ფაუტიანი, ხმობადი და ზეხმელი.

„სალი“ - ამ კატეგორიაში აღირიცხებოდა ისეთი ხეები, რომელთაც პათოლოგიის რაიმე ნიშანი არ ჰქონდათ;

„ფაუტიანი“ - აღირიცხებოდა ისეთი ხეები, რომელთაც არ აღენიშნებოდათ ხმობის სიმპტომები, ხოლო ფაუტიანობა ვიზუალურად ფიქსირდებოდა;

„ხმობადი“ - აღირიცხებოდა ისეთი ხეები, რომელთაც წვეროს ან ვარჯის ხმობის სიმპტომები აღენიშნებოდათ;

„ზეხმელი: - ამ კატეგორიაში აღირიცხებოდა ადრე ან ახლად გამხმარი ზეხმელი ხეები.

სალი და პათოლოგიური ნიშნების მქონე ხეების რაოდენობა და შეფარდება გვამლევს კორომების პათოლოგიური და სანიტარიული მდგომარეობის სურათს.

გარდა ამისა, კორომების საერთო პათოლოგიური მსგომარეობის შეფასებისას გამოყენებულია სატყეო პათოლოგიაში მიღებული შეფასების შემდეგი კრიტერიუმები: პათოლოგიური თვალსაზრისით კორომი ითვლება სუსტად დაზიანებულად თუ მასში სხვადასხვა მიზეზებით დაზიანებულია, გამხმარია ან ხმობადია ხეების 10%-მდე.

თუ ეს მაჩვენებელი მერყეობს 10-დან 30%-მდე, მაშინ კორომი ითვლება საშუალოდ დაზიანებულად, ხოლო 30%-ზე ზევით კი კორომი ითვლება ძლიერ დაზიანებულად. (Инструкция по Экспедиционному лесопатологическому исследованию лесов СССР. М. 1983). სატყეო-პათოლოგიური გამოკვლევები ჩატარდა სატყეო პათოლოგიაში აპრობირებული მეთოდების გამოყენებით: გ. ყანჩაველი, შ. სუპატაშვილი – სატყეო ენტომოლოგია. თბილისი. 1968; Инструкция по Экспедиционному лесопатологическому исследованию лесов СССР. М. 1983; Мозолевская Е., Катаев О., Соколова Э., 1984. Методы лесопатологического обследования очагов стволовых вредителей леса. М. Лесная промышленность стр. 87-152.; С.Шевченко, А.Цилюрик – Лесная фитопатология. Киев, 1986;

ამასთან ერთად, სატყეო პათოლოგიაში ხმობადი კორომების გაჯანსაღების მთავარ სატყეო-სამეურნეო ღონისძიებად ითვლება სანიტარიული ჭრები, რაც გულისხმობს ხმობადი და გამხმარი ხეების ტყიდან გამოტანას; გარდა ამისა სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მოთხრილი და მოტეხილი ხეების (ჩახერგილობა) ტყიდან გამოტანას;

**ახმეტის სატყეო უბნის მარშრუტებზე ჩატარებული პათოლოგიური  
გამოკვლევებისას აღრიცხული ხეების განაწილება სატყეოების და მერქნიანი  
სახეობების მიხედვით**

ცხრილი № 1

N	სატყეოების დასახელება	მარშრუტების რაოდენობა	მარშრუტებზე აღრიცხული ხეების საერთო რაოდენობა	წიფელი	რცხილა	მუხა	მურყანი	წაბლი	ცაცხვი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	12
1	ახმეტა	11	1350	954	396					
2	ქისტაური	10	1045	585	225	235				
3	მატანი	8	990	530	210	250			-	
4	პანკისი	9	1050	330	230	228		172	90	
<b>სულ</b>		<b>38</b>	<b>4435</b>	<b>2399</b>	<b>1061</b>	<b>713</b>		<b>172</b>	<b>90</b>	

**მარშრუტებზე აღრიცხული ხეების განაწილება სახეობებისა და პათოლოგიური კატეგორიების მიხედვით**

ცხრილი № 2

N	სახეობის დასახელება	მარშრუტებზე აღრიცხული ხეების როდენობა	მ.შ.პათოლოგიური კატეგორიის მიხედვით			
			სალი	ფაუტიანი	ხმობადი	ზეხმელი
1	2	3	4	5	6	7
1	წიფელი	2399	<u>1996</u> 83,2	<u>353</u> 14,7	<u>50</u> 2,1	
2	რცხილა	1061	<u>635</u> 59,8	<u>320</u> 30.1	<u>96</u> 9.1	<u>10</u> 1
3	მუხა	713	<u>535</u> 75	<u>150</u> 21	<u>28</u> 4	-
4	წაბლი	172	<u>12</u> 7	<u>90</u> 52,4	<u>70</u> 40.6	-
5	ცაცხვი	90	<u>45</u> 50	<u>30</u> 33,3	<u>15</u> 16,7	
	სულ	4435	<u>3223</u> 72,7	<u>943</u> 21,3	<u>259</u> 5,8	<u>10</u> 0,2

**შენიშვნა:** ცხრილში წილადის მრიცხველში მოცემულია ხეების აბსოლუტური რიცხვი, მნიშვნელში, შესაბამისი პროცენტი.

მუხნარები დასახლებული პუნქტების მიმდებარედ ნაწილობრივ დეგრადირებულია, რაც გამოწვეულია სხვადასხვა ანთროპოგენური ფაქტორებით, (მათ შორის უნებართვო ჭრები, მოვება და სხვა), ერთეული სახით გვხვდება მუხის ხის ინდივიდებზე, მუხის ნაცარი (*Microsphaera alphitoides* Griff.et Maubl.) მუხის ცრუ აბედა (*Phellinus robustus*); მუხნარებში გამხმარი ხეების რაოდენობა ამჟამად მცირეა (4,2%).

ფაუტინობა წიფლნარებში დამახასიათებელია - ზოგადად საქართველოს წიფლნარები ხასიათება ფაუტინობით, ხოლო მათი რაოდენობრივი შემცირება შესაძლებელია შესაბამისი სწორად დაგეგმილი და ჩატარებული ჭრების საშუალებით.

საველე სამუშაოების განხორციელებისას, კორომების შესწავლისას გამოვლინდა სხვადასხვა სახეობის მწერები და სოკოები, რომელთა რაოდენობაც სატყეო უბნის საკვლევ ტერიტორიაზე მნიშვნელოვან ნიშნულს არ აღწევს, ხოლო მათი არსებობა წარმოადგენს ტყის ეკოსისტემებში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესების აუცილებელ შემადგენელ ნაწილს.

მნიშვნელოვანია მიმდინარე სარევიზიო პერიოდში ყურადღება მიექცეს ტყეების ფიტოპათოლოგიურ, სანიტარულ მდგომარეობას და მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში განხორციელდეს შესაბამისი ღონისძიებები, შესაძლებელია სარევიზიო პერიოდში შესაბამისი კლიმატური პირობების ცვლილების შემთხვევაში გააქტიურდეს სხვადასხვა მავნებელი, რომლებიც ამ ეტაპზე საკვლევ ტერიტორიაზე მცირე რაოდენობით ფიქსირდება, მონიტორინგის განხორციელებისას გასათვალისწინებელია მათი ბიოეკოლოგიური მახასიათებლები როგორც მავნე მწერების ისე პათოგენი სოკოების.

**სუნიანი მემერქნია - *Cossus cossus*.** არის მსხვილი სერი ფერის პეპელა სქელი (მსხვილი) მუცლითა და სერი ფრთებით, რაზედაც აქვს მრავალრიცხოვანი განივი ზოლები. გაშლილი ფრთები 8 – 8,5 სმ–ია. ზრდასრული მატლი ზემოდან მოწითალო ფერისაა, გვერდებზე მიწითელო–მოყვიაელოა 8 სმ–მდე, მასთან მიკარებისას თავისდასაცავად უშვებს ძლიერ ცუდ სუნთან სითხეს. ჭუპრი წაბლისფერია. სუნიანი (ტირიფის) მემერქნია ფართოდ არის გავრცელებული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომელიც სახლდება ტყისა და ხეხილის ხეების მსხვილ ღეროებზე: უმეტესად ტირიფზე, ვერხვზე, ნეკერჩხალზე, მურყანზე, მუხაზე, იფანზე, არყზე.



სურ. 9 - სუნიანი მემერქნის - პეპელა, მატლი და ჭუპრი

ის არის აგრეთვე მრავალჭამია, როგორც მაჟაურა – *Zeuzera pyrina*. ფრენას იწყებს ზაფხულის დასაწყისში (ივნისში) და დებს 100 ცალამდე კვერცხს ჯგუფურად ქერქის



ნაპრალებში ივლისის ბოლოს კვერცხებიდან იჩეკებიან მოვარდისფერო მატლები, რომლებიც ამოდრღნიან ქერქს და ხის ცილაზე აკეთებენ არასწორ საოჯახო სასვლელებს სადად იზამთრებენ. მეზამთრეობის შემდეგ ცალ-ცალკე მატლები დამოუკიდებლად ჩადიან (ხვრეტენ მერქანს) და აკეთებენ განივ სასვლელებს, რომლებშიდაც ისევ იზამთრებენ მეორედ და მხოლოდ შემდეგი წლის მაისის ბოლოში იჭუპრებენ გამოსასვლელ ნახვრეტთან. ჭუპრის ფაზა გრძელდება 2-4 კვირა. ზოგიერთი მატლი ნახვრეტიდან გამოდის და ეძებს სასურველ დასაჭუპრებელ ადგილს ზოგჯერ ნიადაგშიც კი.

სუნიანი მემერქნიას განვითარების ციკლი გრძელდება 2 წელიწადს.

**მუხის დიდი ხარაბუზა** - *Cerambix cerdo acuminatus* Motsch., ხოჭო შავია, ზედა ფრთების მეორე ნახევარი წაბლისფერია, ბოლოში ვიწროვდება, თავზე გრძელი სეგმენტალური ულვაშები აქვს. მდედრი ხოჭოს ულვაშები სხეულის სიგრძისაა, მამალის კი სხეულზე ბევრად გრძელია. ხოჭოს სხეულის სიგრძე მერყეობს 4,0-5,5 სმ, პირის ორგანოებიდან ემჩნევა კარგად განვითარებული ზედა ყბები, მაგრამ მერქნის ღრღნა არ შეუძლია. კვერცხი თეთრია, მისი სიგრძე 2-3 მმ-ია. მატლი თეთრია და 9 სმ-მდე სიგრძისაა, ხასიათდება კარგად განვითარებული მღრღნელი ტიპის პირის ორგანოებით. ჭუპრი თეთრია, დაუფარავი და ხოჭოს სიდიდისაა, რომელსაც კარგად ემჩნევა ხოჭოს ყველა ნაწილი.



სურ. 8 – მუხის დიდი ხარაბუზას ხოჭო (იმაგო) და მატლი

მავნებელი მატლის ფაზაში მუხის მთავარ ღეროს ძლიერად აზიანებს შუა გულამდე, სადაც მატლი 2 სმ სიგანის ხვრელს აკეთებს. ხოჭო მაისში გამოდის ხვრელიდან და იწყებს ფრენას. ზოგჯერ აგვისტომდე გრძელდება. განაყოფიერებას და კვერცხის დებას სადამოს და ღამით აწარმოებს, ძირითადად ცალკე მდგომ ხეებზე (გამეჩხერებულ ტყეში) და ნედლი ძირკვების ქერქის ნაპრალებში ცალ-ცალკე, ასევე ტოტების განშტოების ადგილებში. თითო დედალი ხოჭო 100-150 კვერცხს დებს. კვერცხიდან 10-15 დღეში იჩეკება მატლი და შედის ქერქის ქვეშ, სადაც პირველ ზამთარს იქ ატარებს და იკვებება ლაფნით. მეორე წელს მატლი შედის მერქანში, ამზადებს განიერ ხვრელს და იქვე იზამთრებს. მესამე წლის გაზაფხულზე ისევ განაგრძობს მერქნის დაზიანებას, შემდეგ იჭუპრებს, რომლის ფაზა 25-30 დღეს გრძელდება, მაის-ივლისში ხოჭო იწყებს ფრენას. იგი ხასიათდება 3 წლიანი გენერაციით.

**მუხის ფოთლის რწყილი** - *Haltica saliceti* Ws. - ხოჭო ლურჯი ან მომწვანო ფერისაა. სხეულის სიგრძე 4-5 მმ-ამდე აღწევს. უკანა ფეხების ბარძაყები გამსხვილებულია და მოხერხებულია სახტუნაოდ. მატლის სიგრძე 7 მმ-მდეა. აქვს 3 წყვილი მკერდის ფეხი. სხეული ბრწყინავი შავია, ზურგზე მბრწყინავებეწვებიანი მეჭეჭები განივ განივადაა გაწყობილი.

გავრცელებულია ყველგან, მუხის ტყეებსა და ახალგაზრდა ნარგაობათა ადგილებში. აღნიშნული მწერი როგორც მატლის ისე ხოჭოს სტადიაში აზიანებს ყველა ხნოვანების მუხის ფოთლებს. მატლის მიერ გამოწვეული ზარალი გაცილებით საგრძნობია. ზოგ შემთხვევაში აზიანებს მურყნის, რცხილისა და თხილის ფოთლებს. ახლად გამოჩეკილი მატლები ჯერ ფოთლის ზედაპირული ნაწილით იკვებებიან და იწვევენ ფოთლის სკელეტაციას, უფრო მოზრდილი მატლები ფოთლის რბილ ნაწილს მთლიანად ანადგურებენ ისე, რომ მხოლოდ ძარღვები რჩება. დაზიანებული ფოთლები ღია ყავისფრად მუქდება და იკრუნჩხება.

მუხის ფოთლის რწყილი ითვლება მუხის კულტურებისა და ტყეების პირველად მავნებლად. ხოჭო იზამთრებს ტყის მკვდარ საფარში და ქერქის ნაპრალებში.

მის წინააღმდეგ გამოიყენება ბიოპრეპარატების შესხურება.



სურ. 10 - მუხის ფოთლის რწყილის ხოჭო (იმაგო), მატლი, ფოთლის დაზიანება

**ცქვლეფია მზომელა** - *Erannis defoliaria*., მამრი პეპელა ფრთიანია ღია მოყვითალო ფერის. წინა ფრთებზე განივი ორი მოშავო ზოლი გასდევს, უკანა ფრთები მოთეთრო-მოყვითალოა შავი ლაქებით. მისი ზომა გაშლილი ფრთებით 40 მმ-ია. მდედრ პეპელას ფრთები არ აქვს, იგი მოწითალო-მოყვითალო ფერისაა. ზრდასრული მატლის სიგრძე 35 მმ-ია, მურა ფერის, ზურგზე ორი და გვერდებზე ორმაგი შავი ხაზებით, ქვედა მხრიდან მოყვითალო ფერის. ზრდასრული მატლი მურა მოწითალოა. ჭუპრი მუქი მურა მოწითალოა, სხეული წვრილია და ბრჭყვიალა. მუცლის ბოლოზე მოხრილი ნაზარდი აქვს. სიგრძე 10-15 მმ-ია.



სურ.11 - ცქვლეფია მზომელას პეპელა (იმაგო), მატლი, ჭუპრი

ცქვლეფია ან უფრო მზომელას ახასიათებს ერთწლიანი გენერაცია. ზამთრობს კვერცხის ფაზაში. გაზაფხულზე-აპრილში იჩეკებიან მატლები. მატლები ჯერ იკვებებიან ფოთლებში ფარულად, შემდეგ ღია ცხოვრებას ეწევიან. ქარის ან წვიმის დროს ისინი აბლაბუდის ძაფით ეშვებიან ძირს ნიადაგზე და 5-10 სმ სიღრმეზე იჭუპრებენ. ჭუპრის ფაზა ოქტომბერ-ნოემბრამდე გრძელდება. ჭუპრებიდან გამოფრენილი მდედრი პეპლები კვერცხებს დებენ ვარჯში კვირტებთან ახლოს ცალ-

ცალკე ან ჯგუფურად. იგი აზიანებს მუხას, რცხილას, თელას, ნეკერჩხალს და სხვ. სულ აზიანებს ფოთლოვანებიდან მერქნიანების 100-მდე სახეობას.

**არაფარდი პარკხვევია** -*Lymantria (Ocneria) dispar* L., მდედრი და მამრი პეპლები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ზომით, საიდანაც წარმოდგება სახეობის სახელწოდება. ფრთაგაშლილი მდედრი 65 მმ-ია და არის თეთრი ფერის, ხოლო მამრი - 45 მმ-ია მურა ჟანგისფერი შეფერილობით. მატლები მონაცრისფროა, ზურგის მხარეს სამი წყვილი მოყვითალო ზოლი გასდევს პირველ ხუთ რგოლზე ლურჯი მეჭეჭები აქვთ.



სურ. 12 - არაფარდი პარკხვევიას პეპელა (იმაგო), მატლი და ჭუპრი

### დაავადებების მოკლე ბიო-ეკოლოგია

#### წაბლის კიბო - *Cryphonectria (Endothia) parasitica* (Murr.) Barr.

ახმეტის სატყეო უბანში პათოლოგიური თვალსაზრისით წაბლზე აღინიშნება სოკოვანი დაავადება პათოგენი სოკო *Cryphonectria parasitica*, რომელიც მთლიანად სატყეო უბნის საკვლევ ტერიტორიაზე ცალკე წაბლის გაბატონებით არსებულ კორომებათ უმნიშვნელო რაოდენობით ფიქსირდება, ძირითადად შერეული სახითაა სხვა სახეობებთან ერთად წარმოდგენილი, მათი რაოდენობრივი სიმცირის გამო ცალკე აღინიშნება ამ ეტაპზე არ ინიშნება.



სურ,13 - წაბლის კიბოთი ღეროს დაზიანება, წითელი ნაყოფსხეულები, კიბოთი გამხმარი ხეები

წაბლის კიბო პირველად აღინიშნა ამერიკაში, ნიუ-იორკის პარკში 1904 წელს და სწრაფად გავრცელდა მთელს ქვეყანაში (აშშ). შემდეგ 1938 წელს იგი აღინიშნა იტალიასა და საქართველოში და ამჟამად მთელს ევროპაშია გავრცელებული.

სოკო აზიანებს მხოლოდ ქერქს, ამიტომ ამ სოკოთი გამხმარი ხის მერქანი სავსებით გამოსაყენებელია, რადგან იგი არ აზიანებს მერქანს.

დაავადება იწყება წვერხმელობით ან ერთეულ ტოტებზე ფოთლების მოულოდნელი ჭკნობით, რის შემდეგაც იგი ინტენსიურად ვითარდება და თანდათანობით მთლიანად ახმოვს ხეს.

გარეგნულად ამ დაავადების გამოცნობა ადვილია, რადგან დაავადებული ხეების გლუვ ქერქზე ან ქერქის ნაპრალებში ჩნდება მოწითალო-ნარინჯისფერი ნაყოფსხეულები სოკოსი და მის პარალელურად ხშირად წარმოიქმნება წყლულოვანი კიბოები.

ხეების ხმოვა გამოწვეულია იმით, რომ სოკო იწვევს წყლისა და საკვები ნივთიერებების მოძრაობის ჭურჭელ-ბოჭკოვანი სადინარების შეფერხებას.

**ნამდვილი აბედა - *Fomes fomentarius* Gill.** ნამდვილი აბედა ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული სოკოა აბედათაგან და განსაკუთრებით ხშირია წიფლნარებში, თუმცა სხვა ფოთლოვანებსაც აზიანებს, იწვევს ღეროების თეთრ მარმარილოსებრ სიდამპლეს; ის წიფლის ფაუტიანობის მთავარი მიზეზია.

სოკოს ნაყოფსხეულები მრავალწლიანია, მაგარი, ჩლიქისებრი ფორმისა სიდიდით 30-40 სმ-ს აღწევს, ხოლო სისქით 20-25 სმ-ს. მისი ზედაპირი მორუხო, მოთეთროა; ახასიათებს კარგად შესამჩნევი კონცენტრიული ზონები; გარედან დაფარულია 1-2 სმ სისქის ქერქით, ხოლო შიგნით ქსოვილი მოყავისფროა.



სურ.14 - სხვადასხვა აბედა სოკოები

ვითარდება ერთეულად ან ჯგუფურად; ზოგჯერ ერთ ხეზე შეიძლება 10-12 ცალი ნაყოფსხეული განვითარდეს.

ნაყოფსხეულების გამოჩენა იმას ნიშნავს, რომ ფაუტთანობის ანუ ღეროს სიდამპლის, მერქნის დაშლის პროცესი შორსაა წასული. აბედათი დაავადებული ხე ხშირ შემთხვევაში სამასალედ უვარგისია.

**მუხის ცრუ აბედა** - *Phellinus robustus* (Karst.) Bourd. et Galz. ეს სოკო მარტოოდენ მუხებს აავადებს და იწვევს ღეროს მოყვითალო-მოთეთრო სიდამპლეს. ამ ცრუ აბედათი დაავადებულ ხეებს უვითარდებათ ფულურო, აგრეთვე კიბოვანი წარმონაქმნები - სიმსივნეები.



სურ.15 - მუხის ცრუ აბედა სოკოს სხვადასხვა ფორმები

სოკოს ნაყოფსხეულები საკმაოდ დიდია, სიგრძით 25-30 სმ, ხოლო სისქით 10-15 სმ. მუხის ღეროზე ძალიან ძლიერადაა მიმაგრებული; ახასიათებს ბორცვაკებიანი, კონცენტრიულ ზოლებიანი ზედაპირი, რომელიც წვრილ ნაპრალებადაა დამსკდარი. მისი ქსოვილი მოწითალო-ყავისფერია და ძალიან მაგარი. მუხების დასენიანება იწყება 15-20 წლის ხნოვანებაში და დაავადების ძლიერი განვითარებისას ხეები იწყებენ ხმოზას.

**მუხის ნაცარი** - *Microsphaera alphitoides* Griff. et Maubl. მუხის ნაცარი დეგრადირებული და დასუსტებული მუხნარების მუდმივი თანამგზავრი. სოკო აავადებს როგორც ახალგაზრდა, ისე ხნოვან ფოთლებს და სახლდება ყველა ასაკის მუხებზე.



სურ.16 - მუხის ნაცრით დაზიანებული ფოთლები

დაავადება ხასიათდება იმით, რომ ფოთლებზე ჩნდება თეთრი, ფქვილისებრი ფიფქი, რომელიც წარმოადგენს სოკოს მიცელიუმს და ნაყოფინობას. აავადებს ახალგაზრდა ყლორტებსაც. ყველაფერი ეს კი მცენარეში იწვევს ფიზიოლოგიური პროცესების მოშლას და მის დასუსტებას.

## დასკვნები

ახმეტის სატყეო უბნის საკვლევ ტერიტორიაზე ჩატარებული პათოლოგიური გამოკვლევების შედეგად ტყეების საერთო სატყეო-პათოლოგიური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ფიქსირდება წაბლის მერქნიან სახეობებზე წაბლის კიბო, რომელიც მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული პათოგენი სოკოა *Cryphonectria (Endothia) parasitica*, თუმცა ამ ეტაპზე რაიმე სახის მნიშვნელოვანი აქტიური ღონისძიების ჩატარების აუცილებლობა არ ფიქსირდება, ვინაიდან საკვლევ ტერიტორიაზე გაბატონებით და ძირითადი კორომების სახით არ გვხვდება, მათი საერთო ხვედრითი წილი საკვლევ ტერიტორიაზე უმნიშვნელოა და გვხვდება სოფლების მიმდებარე ტერიტორიებზე და ადგილობრივი მოსახლეობა ნაყოფს, პირადი მოხმარების მიზნით იყენებს, შესაბამისად მიზანშეწონილია მონიტორინგის განხორციელება და მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში შესაბამისი შესწავლის მასალების საფუძველზე საჭირო ღონისძიებების დანიშვნა;

მუხნარებში დაბლა ზონაში გვხვდება მუხის დიდი ხარაბუზა, ასევე ფიქსირდება ძირითადად გადაბერებული მუხის ერთეული ხეებზე მუხის ნაცარი და მუხის ცრუ აბედა სოკო, მუხნარებში ფაუტიანობა არ არის მაღალი - 21 %, ხოლო ხმობადია - 4 %-მდე;

წიფლით გაბატონებულ კორომებში და რცხილნარებში ძირითადად ფაუტიანობა ფიქსირდება პროცენტული ხვედრითი წილი ასე გამოიყურება: წიფელი - 14,7%, რცხილა - 30%; ხმობადი ხეებია წიფლნარებში ფიქსირდება - 2%-მდე, ხოლო რცხილნარებში - 9%-მდე; ზეხმელი ხეების ხვედრითი წილი - 1%-ია შესაბამისად მიმდინარე ტყეთმომწობის სამუშაოების განხორციელებისას დანიშნულია სატყეო სამეურნეო ღონისძიებები, რომლებიც მომავალში უზრუნველყოფენ არსებული სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესებას.



## კორომის გაჯანსაღების ღონისძიებანი

ტყეების პათოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. მონიტორინგი;
2. ამორჩევითი სანიტარიული ჭრები გაფანტული ხმობისა და ფაუტიანობის მქონე კორომებში;
3. ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა.

**მონიტორინგი** გულისხმობს პერიოდულად ტყეების ვიზუალური დათვალიერებას, საჭიროების შემთხვევაში რეკოგნოსცირებულ გამოკვლევების ჩატარებას მავნებელ-დაავადებათა ინტენსივობისა და მათი გავრცელების კერების, ხმობის ინტენსივობისა და ხმობადი კერების გამოსავლენად და დასადგენად, შემდგომში სათანადო და შესაბამისი ღონისძიებების დასაგეგმად.

**ამორჩევითი სანიტარიული ჭრები** ტარდება გაფანტული ხმობისა და ფაუტიანობის მქონე კორომებში. წიფლნარებსა და რცხილნარებში სადაც ფაუტინობა მაღალ დონეზეა, ამორჩევითი სანიტარიული ჭრებისას, კორომის სათანადო სიხშირის შენარჩუნების გათვალისწინებით, იჭრება ძლიერ ფაუტიანი ხეები, რომელნიც ქმნიან მეორადი მავნებლების დასახლების საშიშროებას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. იაშვილი - სვანეთის ნიადაგები, გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1987, 226 გვ.
2. მ. საბაშვილი - ნიადაგმცოდნეობა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1970.
3. თ.ურუშაძე - საქართველოს ძირითადი ნიადაგები, გამ. "მეცნიერება", თბილისი, 1997, 267 გვ.
4. თ.ურუშაძე - საქართველოს მთა-ტყის ნიადაგები, გამ. "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1977, 244 გვ.
5. თ. ურუშაძე, ა. ბაჯელიძე, შ. ლომიძე - ნიადაგმცოდნეობა, გამ. "შ. რუსთაველის სახ. უნივერსიტეტი" ბათუმი, 2011, 554 გვ.
6. თ.ურუშაძე, ე. სანაძე, თ.ქვრივიშვილი - ნიადაგის მორფოლოგია, გამ. 'მწიგნობარი', თბილისი, 2010, 170 გვ.
7. თ.ურუშაძე, თ.ქვრივიშვილი - საქართველოს ნიადაგების სარკვევი, გამ. "მწიგნობარი", თბილისი, 2014, 135 გვ.
8. საქართველოს ნიადაგების რუკა. მასშტაბში 1:500 000 (პროფ. თ. ურუშაძის რედაქტორობით) "კარტოგრაფია", თბილისი, 1999.
9. გ. ტალახაძე, კ. მინდელი - საქართველოს მაღალმთიანეთის ნიადაგები, გამ. "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1980, 173 გვ.
10. ქვაჩაკიძე, რ. - საქართველოს გეობოტანიკური დარაიონება, გამ. "მეცნიერება", თბილისი, 1996.